



**მედიაგარემო 2021 წლის არჩევნებამდე და შემდგომ:
საფრთხეები და მხარდამჭერი ინსტრუმენტები**

მარიამ გერსამია
შაია ტორაძე



#ლექსოსის

მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი

**მედიაგარემო 2021 წლის არჩევნებამდე და შემდგომ:
საფრთხეები და მხარდამჭერი ინსტრუმენტები**

მარიამ გერსამია, მაია ტორაძე

თბილისი

2021

მედიაგარემო 2021 წლის არჩევნებამდე და შემდგომ: საფრთხეები და მხარდამჭერი ინსტრუმენტები
Media Environment in 2021 Pre- & Post-election Period: Threats and Supportive Instruments

© ავტორები: მარიამ გერსამია, მაია ტორაძე, 2021

© ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი, 2021,

ელ-ფოსტა: info@mcerc.ge; ვებ-გვერდი: www.mcerc.ge



რეცენზენტი: პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კორნელი კაკაჩია

კვლევა მომზადდა პროექტის - „წინასაარჩევნო მედიაგარემო, არსებული საფრთხეები და კრიზისული სიტუაციების გაშუქების გამოწვევები“ - ფარგლებში, **ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის - სამხრეთ კავკასიის** ბიუროს და **გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს** მხარდაჭერით. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს უსაფრთხო და მხარდამჭერი მედიაგარემოს შექმნას და წინასაარჩევნო და შემდგომ პერიოდში რისკების შემცირებისთვის ეფექტური მექანიზმების დანერგვას.



**FRIEDRICH NAUMANN
FOUNDATION** For Freedom.
South Caucasus



Auswärtiges Amt

აღნიშნული ტექსტის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები და მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას. აკრძალულია წიგნში შეტანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ცენტრი მადლობას უხდის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“ მაგისტრანტებს თინა აბაშიძეს და ირაკლი გობრონიძეს, ასევე სალომე ტორაძეს მონაცემების დამუშავებაში ჩართულობისთვის.

ნაშრომის ციტირების წესი: გერსამია მ., ტორაძე მ., მედიაგარემო 2021 წლის არჩევნებამდე და შემდგომ: საფრთხეები და მხარდამჭერი ინსტრუმენტები, მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი, 2021.

გარეკანის დიზაინერი: ლისა ლლონტი

ISBN 978-9941-8-3870-5

სარჩევი

შესავალი	5
1. ლიტერატურის მიმოხილვა	7
1.1. მედიასაფრთხეების საერთაშორისო რაკურსი	7
1.2. მედიაგარემო და პოლარიზაცია	11
1.3. თვითცენზურა და შიში	14
1.4. წინასაარჩევნო მედიასაფრთხეების კონტურები საქართველოში	16
2. კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია და პროცედურები	22
3. ინტეგრირებული ანალიზი და შედეგები	24
3.1. მიკრო და მაკროსაფრთხეები	28
3.1.1. პოლარიზაცია, როგორც მედიასაფრთხე	29
3.1.2. ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა	34
3.1.3. ჟურნალისტებზე ფიზიკური და ვერბალური ძალადობა	38
3.1.4. რუსული მოდელი მედიაში, როგორც მაკრო-საფრთხე	45
3.2. მხარდამჭერი მედიაგარემო და სოლიდარობა	46
3.3. უსაფრთხო მედიაგარემო: განათლება და კვლევების ფოკუსი	51
დასკვნა	54
რეკომენდაციები	57
ბიბლიოგრაფია	62
დანართები	67
1) ონლაინგამოკითხვაში მონაწილე მედიასაშუალებები	
2) ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებში ჩართული მედიასაშუალებები	
ავტორების შესახებ	69
ცენტრის შესახებ	71

შენსავალი

სიცოცხლისუნარიანი და თავისუფალი მედია დემოკრატიის განვითარების უმნიშვნელოვანესი მდგენელია. საქართველოსთვის, როგორც გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნისთვის, „ჯერ კიდევ გამოწვევაა მედიის დემოკრატიისთვის ხელსაყრელი გარემოს შენარჩუნება“¹. საბჭოთა კავშირის დანგრევიდან და დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 30 წლის შემდეგ დემოკრატიული მედიაგარემოს განვითარების ერთ-ერთ ინდიკატორად რჩება ის, თუ რამდენად უსაფრთხოდ გრძნობენ თავს ჟურნალისტები პროფესიული საქმიანობისას.

თანამედროვე მედია გლობალური კრიზისების პერიოდში (განსაკუთრებით, პანდემიის პირობებში) არაერთი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა და მათგან ერთ-ერთი საყურადღებო სწორედ ჟურნალისტების და მედიაინსტიტუტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თემებია. ბოლო პერიოდში საქართველოშიც თვალნათლივ აჩვენა, რომ კრიზისების პერიოდში მედიაგარემოში არსებული საფრთხეები განსაკუთრებით აქტიურდება და ხილული ხდება. წინასწარჩვენო პერიოდი შეგვიძლია სწორედ ამ ფაზად მივიჩნიოთ.

¹ Gersamia M., Freedman E., Challenges to Creating Vibrant Media Education in Young Democracies: Accreditation for Media Schools in Georgia, Journalism & Mass Communication Educator, SAGE, 2017, Vol. 72(3) 322–333, AEJMC 2017, DOI: 10.1177/1077695817710104<http://journals.sagepub.com/home/jmc> [accessed Oct 21 2021].

აღნიშნული კვლევის მომზადება განაპირობა წინასაარჩევნოდ არსებული მედიასაფრთხეების მკვეთრმა და, შეიძლება ითქვას, სპონტანურმა აქტუალიზაციამ. კერძოდ, საქართველოში 2021 წლის 5 ივლისს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ორი თვით ადრე, მედიის წარმომადგენლებს დემონსტრაციის გაშუქებისას წინასწარგანზრახვით თავს დაესხნენ რადიკალური ჯგუფები, რომლის შედეგადაც 10-ზე მეტი მედიასაშუალების 53 ჟურნალისტი, ოპერატორი და ფოტოგრაფი დაშავდა, ხოლო, მიღებული დაზიანებების შედეგად, დარბევებიდან რამდენიმე დღეში გარდაიცვალა ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ოპერატორი ლექსო ლაშქარავა. ჟურნალისტების უსაფრთხოების კუთხით დანახულმა გამოწვევებმა უპრეცედენტო საერთაშორისო ყურადღება და კვლევით გარემოში ამ თემის სტიმულირება გამოიწვია.

წინამდებარე კვლევის მიზანია, დაადგინოს, რა თავისებურებებით გამოირჩევა კრიზისების დროს, კერძოდ, არჩევნების წინა და შემდგომი პერიოდის მედიაგარემო. კვლევა ასევე პასუხობს კითხვას, თუ როგორ მოქმედებს პოლიტიკური პოლარიზაცია და კრიზისები მედიაზე და რა მაკრო და მიკრო საფრთხეებს აჩენს ის. კვლევაში იდენტიფიცირებულია ეს მედიასაფრთხეები და, ჟურნალისტების თვალთ დანახულ რეალობაზე დაყრდნობით, შეფასებულია მედიაგარემო. კვლევის დაგეგმვისას გათვალისწინებულია ადგილობრივი სპეციფიკური კონტექსტი და მედიასაფრთხეები გაანალიზებულია სიტუაციური პერსპექტივიდან.

წინამდებარე კვლევა მოიცავს რეკომენდაციებს უსაფრთხო და მხარდამჭერი მედიაგარემოს შექმნისთვის და დაინტერესებულ როგორც მედიაში დასაქმებულებს, ასევე მკითხველთა ფართო წრეს – აკადემიური სფეროს, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. მედიასაფრთხეების საერთაშორისო რაპორტი

ჟურნალისტების უსაფრთხოების კვლევები აკადემიურ სფეროში ბოლო პერიოდში პოპულარული გახდა. ამან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პრობლემის კომპლექსურად გაცნობიერების ხარისხი და შედარებით უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაშიც შეიტანა წვლილი². UNESCO-ს მიერ მედიაუსაფრთხოების კვლევა რეკომენდებულია ათ კომპონენტსა და პრობლემასთან კავშირში. წარმოდგენილი კვლევის ფოკუსი ამ ათიდან ფარავს შვიდ სარეკომენდაციო საკითხს. მათ შორისაა: ადამიანის უფლებები და მედია; კონფლიქტები და მედია; საზოგადოება და მედია; ჟურნალისტების კომპეტენციები; მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები; ციფრული კულტურა და მედიაგანათლება.

საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში მედიაგარემოს შეფასებისას იკითხება ის საგანგაშო ვითარება, რომელიც ავტორიტარულ ქვეყნებშია. იმ ქვეყნებში, სადაც ჟურნალისტების უსაფრთხოება არაა დაცული, ასევე საფრთხის ქვეშ არიან პოლიტიკური ოპონენტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა დამცველები. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ამ ტიპის ქვეყნებში

² Towards a Research agenda on the safety of journalists, United Nations, UNESCO, 2015, available from https://en.unesco.org/sites/default/files/draft_research_agenda_safety_of_journalists_06_2015.pdf (last seen on Sept. 26, 2021).

ჟურნალისტებისთვის ინფორმაციასთან წვდომის შეზღუდვა და ფარული თვალთვალი ერთ-ერთი გავრცელებული პრაქტიკაა. ნებისმიერ შემთხვევაში, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების თუ ანგარიშების ყურადღების ცენტრში ხვდება, ჟურნალისტების დაუცველობა უკავშირდება დემოკრატიის პრობლემებს და ყოველთვის კომბინაციაშია სხვა პრობლემებთან, რომლებიც ავტორიტარულ ქვეყნებში ერთმანეთის მსგავსია. ესენია: ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემები, პოლიტიკოსების და ხელისუფლების მხრიდან ვერბალური თავდასხმები, დაუსჯელობა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების შევიწროება, ფარული და უკანონო თვალთვალი, გენდერული ნიშნით შევიწროება, დეზინფორმაცია და სხვ.

მედიასაფრთხეების მასშტაბურობის არსებობას ადასტურებს ფართო სურათის გაცნობაც. კერძოდ, ჟურნალისტების დაცვის კომიტეტის (Committee to Protect Journalists) მონაცემების მიხედვით, 1992-2021 წლებში მსოფლიოში მოკლულია მედიის 2103 წარმომადგენელი და ჟურნალისტი (ამათგან პროფესიული საქმიანობის მოტივით დადასტურებულია 1531 შემთხვევა). 2021 წელს 30 ჟურნალისტი და მედიაში დასაქმებული პირია მოკლული. ამათგან 18-ის შემთხვევაში დადასტურდა, რომ მოტივი პროფესიული საქმიანობა იყო და 18-ვე ჟურნალისტია. როგორც ჟურნალისტების დაცვის საერთაშორისო კომიტეტი (CPJ) აღნიშნავს, მედიამ თავის ყოველდღიურ რუტინად თანდათან აქცია უსაფრთხოების საკითხებზე ზრუნვა და ამ თემების გათვალისწინება³.

მედიაკლევრების (ორგერეტი, ტაიებუა, 2020) დაკვირვებით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ჟურნალისტების სიცოცხლე და მათი კეთილსინდისიერი მუშაობა სულ უფრო მეტად ექცევა რისკის ქვეშ. მაშინ, როცა პირველი მსოფლიო ომის დროს 2 კორესპონდენტი მოკლეს, თითქმის საუკუნის შემდეგ სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია⁴. საგანგაშოა ისიც, რომ მსოფლიოში ჟურნალისტების 10 მკვლელობიდან 9 გამოუძიებელი რჩება⁵

³ Journalist safety and self-censorship, edited by Anna Grøndahl Larsen, Ingrid Fadnes, et al, Routledge, 2020, p. 1-7.

⁴ Kristin Skare Orgeret, William Tayeebwa, Editorial, Introduction: Rethinking Safety of Journalists, Media and Communication (ISSN: 2183-2439) 2020, Volume 8, Issue 1, Pages 1-4 DOI: 10.17645/mac.v8i1.2873, <https://www.cogitatiopress.com/mediaandcommunication/article/view/2873/2873>

⁵ Towards a Research agenda on the safety of journalists, United Nations, UNESCO, 2015, available from https://en.unesco.org/sites/default/files/draft_research_agenda_safety_of_journalists_06_2015.pdf (last seen on Sept. 26, 2021).

ამის შედეგად ვიღებთ დაუსჯელობის მანკიერ წრეს, შიშის და თვით-ცენზურის კლიმატში საზოგადოებაზე „ცივი შხაპის“ ეფექტს.

მედიის კონვერტირებული არქიტექტურა მოიცავს ციფრულ და ფიზიკურ მედიაგარემოს. საფრთხეების შეფასებისას, მნიშვნელოვანია ორივე ტიპის მედიაგარემოზე დაკვირვება, რადგან ეს სივრცე დატვირთულია ჟურნალისტებზე მიზანმიმართული ძალადობითა და შევიწროებით. ონლაინ-გარემომ ჟურნალისტი უფრო მოწყვლადი გახდა. ციფრულ გარემოში უფრო იოლია იმ აგრესიის გამოხატვა, რაც ფიზიკურ გარემოში შეიძლება ნაკლებად გამოვლინდეს. მკვლევარი ფილიპ მასური (2019) ონლაინ მედია-გარემოში არსებული საფრთხეების ანალიზისას აღნიშნავს, რომ არსებობს მცდარი წინასწარი განწყობა ონლაინპლატფორმებზე პირადი სივრცის დაცულობის შესახებ, რადგან მომხმარებლები მას ინტერპერსონალური გადმოსახედიდან მაინც ფიზიკური სივრცის ანალოგიად მოიაზრებენ⁶.

„დღიხე ველე აკადემიის“ ანგარიშის მიხედვით⁷, დღესდღეისობით მედია-უსაფრთხოების ცნება მოიცავს: უსაფრთხო ფიზიკურ, ციფრულ, ფსიქოლოგიურ და სამუშაო პირობებს. ეს ყველაფერი და მედიის სიცოცხლისუნარიანობა ძლიერ სიმბიოზურ ურთიერთკავშირშია. მნიშვნელოვანია მედიაგარემოში არა მარტო ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებაზე დაკვირვება, არამედ მედიის სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელი კომპონენტების (აუდიტორიის ჩართულობის, გამოხატვის თავისუფლების და თვითცენზურის) თუნდაც პერიფერიული კვლევა. „დღიხე ველე აკადემიის“ განმარტებით⁸, მედიის სიცოცხლისუნარიანობა მაშინაა უზრუნველყოფილი, როცა მას აქვს შესაძლებლობა, გაძლიერდეს ინსტიტუციურად, სტაბილურად შექმნას მაღალი ხარისხის სანდო ჟურნალისტური პროდუქტი და უზრუნველყოს აუდიტორიის ჩართულობა. ამავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ კრიზისების პერიოდში (მათ შორის, კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიისას) კიდევ უფრო მატულობს გამოწვევები ჟურნალისტების უსაფრთხოების კუთხით. ისინი ხდებიან სამიზნეები განსაკუთრებით მაშინ, თუ პანდემიის მართვას კრიტიკულად აშუქებენ.

⁶ Masur Philipp K., *Situational Privacy and Self-Disclosure, Communication Processes in Online Environments*, Springer, Germany, 2019, p.14; ISBN 978-3-319-78883-8, ISBN 978-3-319-78884-5 (eBook), <https://doi.org/10.1007/978-3-319-78884-5>

⁷ Safe. Strong. Viable. *The symbiosis between media safety and media viability*, Deutsche Welle Akademie, Germany, 2021. <https://www.dw.com/en/safe-strong-viable-the-symbiosis-between-media-viability-and-media-safety/a-57334604> (last seen on Oct. 3, 2021).

⁸ იქვე

მედიის უსაფრთხოების თემაზე საყურადღებოა დემონსტრაციების და არჩევნების კონტექსტში მომზადებული საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები. მაშინ, როცა ქვეყანაში არაა შეიარაღებული კონფლიქტი, ჟურნალისტი და მედიის წარმომადგენლები განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ დგებიან საპროტესტო აქციების და პოლიტიკური კრიზისების გაშუქებისას. ჟურნალისტების შევიწროების, დაპატიმრების და ფიზიკური ძალადობის ტენდენცია მზარდია. UNESCO-ს ანგარიშის (2020) მიხედვით, გასულ ათწლეულში ყოველ მეოთხე დღეს კლავდნენ ჟურნალისტებს და მათი უმეტესობა მოკლეს იმ ქვეყნებში, სადაც არ იყო შეიარაღებული კონფლიქტი⁹. საგანგაშოა ჟურნალისტების მისამართით პოლიტიკური ღიადერების მტრული რიტორიკა, რომელიც მასობრივი შეკრებების დროს ქმნის გარემოს, რომელშიც ჟურნალისტების მიზანში ამოღება ხდება. როგორც გაერო და ამერიკის გამოხატვის თავისუფლების ორგანიზაცია (Organization of American States Freedom of Expression) აღნიშნავენ, ხდება მედიისთვის „ხალხის მტრის“ იარაღის მიკერება და ეს ტენდენცია არც საქართველოსთვისაა უცხო, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში.

იმ ქვეყნებზე დაკვირვებისას, სადაც დემოკრატია მყიფეა, მკვლევრები (ვალუღია, ნასანგა, 2020) ასკნიან, რომ ჟურნალისტების უსაფრთხოება მეტი რისკის ქვეშ არის არჩევნების დროს და ეს რისკები იზრდება სახელმწიფო უშიშროების სამსახურების მხრიდან¹⁰. მკვლევრების შეფასებით, ეს საფრთხეები მოიცავს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ ჟურნალისტების შევიწროებას, დაშინებას, დაპატიმრებას და მნიშვნელოვანი ინფორმაციის წვდომაზე უარის თქმას. იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტი თავდაცვისთვის მიმართავს თვითცენზურას, საზოგადოება წინასაარჩევნოდ იღებს მიკერძოებულ და შეზღუდულ ინფორმაციას, რაც ზეგავლენას ახდენს მის არჩევანზე¹¹.

პოუველსის (2001)¹² მიხედვით, არსებობს სამხსრივი ურთიერთკავშირი და ზემოქმედება მედიას, დემოკრატიასა და განათლებას შორის. განათლე-

⁹ Safety of Journalists and the Danger of Impunity, UNESCO, Director-General Report, 2020, available from <https://en.unesco.org/themes/safety-journalists/dgreport>, (last seen on Oct. 2, 2021).

¹⁰ Walulya Gerald, Nassanga Goretti L., Democracy at Stake: Self-Censorship as a Self-Defence Strategy for Journalists, Media and Communication (ISSN: 2183–2439) 2020, Volume 8, Issue 1, Pages 1–4 DOI: 10.17645/mac.v8i1.2873.

¹¹ იქვე

ბული მოქალაქე დემოკრატიის სწორად ფუნქციონირების ფუნდამენტი. მედიას თავისი წვლილი შეაქვს პოლიტიკურ და სამოქალაქო განათლებაშიც, რომელიც, ფორმალური განათლებისგან განსხვავებით, მედიასთან ინტერაქციის პროცესში მთელი ცხოვრება გრძელდება. სწორედ ამიტომ „მედიის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ტოტალიტარული რეჟიმებისთვის“,- აღნიშნავს ჰოუელსი.

ხელისუფლების და პარტიების მხრიდან მედიის კონტროლი ამცირებს მოქალაქის ინფორმირებულობის დონეს და სამოქალაქო ჩართულობას (განსაკუთრებით, არჩევნების პერიოდში), რაც საბოლოოდ ასუსტებს დემოკრატია. არაა გასაკვირი, რომ მედიის ტოტალური კონტროლის სურვილი და ტენდენცია გამოკვეთილია პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში, სადაც დემოკრატია ცდილობს გაძლიერებას და ამ მიმართულებით ნაბიჯები სწორედ მედიის დემოკრატიზაციის კვლადაკვალ გადაიდგმება.

1.2. მედიაგარემო და პოლარიზაცია

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური გარემო მოქმედებს მედიის დემოკრატიზაციის ხარისხზე. მედიის პოლარიზაცია გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. სხვადასხვა ქვეყანაზე დაკვირვებით, საერთაშორისო ორგანიზაციები აღნიშნავენ¹³, რომ არჩევნების პერიოდში ეს პოლარიზაცია კიდევ უფრო თვალშისაცემია და ხდება ბარიერი მოქალაქის ინფორმირებულობის პროცესში.

ბოლო წლებში პოლარიზაცია და მისი ნეგატიური ეფექტები შესწავლის საგანია პოლიტიკურ მეცნიერებებშიც. მკვლევრების აზრით,¹⁴ პო-

¹² Howells, R. (2001). Media, education and democracy. *European Review*, 9(2), 159-168

¹³ Vibrant information barometer 2021, IREX, available at <https://www.irex.org/sites/default/files/Vibrant%20Information%20Barometer%20Full%20version.pdf> (last seen Oct. 20)

¹⁴ Güneş Ertan, Ali Çarkoğlu, S. Erdem Aytaç, Cognitive political networks: A structural approach to measure political polarization in multiparty systems, *Social Networks*, Volume 68, 2022, Pages 118-126. ISSN 0378-8733, <https://doi.org/10.1016/j.socnet.2021.05.004> . (<https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0378873321000460>)

ლარიზაცია მულტიგანზომილებიანი და ურთიერთმიმართებითი ფენომენია (ნილი, 2020; ლაუკა და სხვ., 2018). ის სხვადასხვა სტრუქტურული ფაქტორებით ვლინდება, თუმცა, ამის მიუხედავად, უკიდურესი პოლარიზაცია საფრთხეს უქმნის დემოკრატიას¹⁵. დიმაჯიოს (1996) განმარტების მიხედვით, პოლიტიკური პოლარიზაცია (რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ როგორც პროცესი) კავშირშია პოლიტიკურად აქტუალურ საკითხებზე საზოგადოებაში არსებული უთანხმოების მასშტაბთან. ლაინგარი და სხვები (2012) საზოგადოების პოლარიზებას განმარტავენ იმ მოცემულობად, როცა სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები ერთმანეთს აღიქვამენ მიუღებელ გარესხეულებად. როგორც ვილსონის, პარკერის და ფენბერგის (2020)¹⁶ კვლევაშია აღნიშნული, პოლიტიკური პოლარიზაცია შეიძლება დემოკრატის საფრთხედ მივიჩნიოთ (კაროტეს, ო'დონოჰიუ, 2019; ლევიციკი, ზიბლატი, 2018).

არანაკლებ მნიშვნელოვანია პოლარიზაციის განხილვა მედიაგარემოსთან მიმართებით, რომელიც მოიცავს ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის, მედიაარჩევანის, მედიის სანდოობის და მედიამომხმარებლის მედიისადმი ლოიალობის საკითხების განხილვას.

მელკის და პიკერინგის (2014)¹⁷ მიხედვით, რაც უფრო დიდია სხვადასხვა მედიუმთან ხელმისაწვდომობა, მით უფრო კარგადაა ამომრჩეველი ინფორმირებული. თუმცა, შესაძლოა სწორედ ფართო მედიაარჩევანის გამო, მომხმარებელმა თავისი იდეოლოგიური მიდრეკილებების მიხედვით აირჩიოს, თუ რას უყუროს და ამან კიდევ უფრო გააამყაროს მისი უკვე არსებული შეხედულებები და ქცევები (ლაიენგარი და ჰანი, 2009; სლატერი, 2007). ყოველი მედიაარჩევანი კი მოიცავს ინფორმაციას, ემოციას, გასართობ თუ იდეოლოგიურ კონტენტს და სხვ.

¹⁵ სილაგაძე გ., გოზალიშვილი ნ., უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია, როგორც დემოკრატია (ბოლო ნახვა 26 ოქტომბერი, 2021) <https://bit.ly/3pMbfag>

¹⁶ Wilson A., Parker V., Feinberg M., Polarization in the contemporary political and media landscape, *Current Opinion in Behavioral Sciences*, Volume 34, 2020, Pages 223-228, ISSN 2352-1546, <https://doi.org/10.1016/j.cobeha.2020.07.005>.

¹⁷ Melki M., Pickering A., Ideological polarization and the media, *Economics Letters*, Volume 125, Issue 1, 2014, Pages 36-39, ISSN 0165-1765, <https://doi.org/10.1016/j.econlet.2014.08.008>. (<https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0165176514002985>)

მედიაგარემოს პოლარიზება შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც პოლიტიკურად აქტუალური თემების და წყაროების არაპროპორციული გაშუქება მედიაში და მედიაკონტენტის მიკერძოებული „ფრეიმინგი“¹⁸, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც მედიის შიგნით მიმდინარე პროცესებით, ასევე გარე ფაქტორებით – მაგალითად, წყაროებთან/ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვით.

მედიის და პოლიტიკური პოლარიზაციის ურთიერთმიმართება არჩევნების და კრიზისების პერიოდში ხდება აქტუალური. დიქსიტის და ვებულის (2007) აზრით, ზოგადად, პოლიტიკური პოლარიზაცია სერიოზულ რისკებს შეიცავს და, მისი გაზრდის შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოების არსებობასაც კი შეიძლება საფრთხე შეექმნას. ამ პროცესის დროს პოლარიზაციის ინდიკატორების განსაზღვრა და მათზე დაკვირვება რთულია. მიუხედავად ამისა, ავტორები პოლარიზაციის შემცირების მექანიზმად მიიჩნევენ მედიაში საჯარო დებატებს, რომელშიც ხელმისაწვდომი ხდება მიმდინარე სიტუაციის და პოლიტიკის ეფექტების განხილვა მაშინაც კი, როცა საკითხი ძალიან საკამათოა¹⁹. ამ მოსაზრებას არ იზიარებენ ჯასპერსონი, გოლინსი და ვოლსი (2017). ისინი, აშშ-ს კამპანიებზე დაკვირვებით, მიიჩნევენ, რომ დებატები ზეგავლენას არ ახდენს პოლარიზაციის ხარისხზე და მას შეუძლია მაყურებელში მხოლოდ გაამყაროს არსებული იდეოლოგიური შეხედულებები. მკვლევრები იზიარებენ მოსაზრებას, რომ დღეისათვის ფრაგმენტირებული და მედიაგარემოში არსებული ფართო არჩევანი ქმნის გარემოს, რომელშიც მოქალაქეებს შეუძლიათ აარჩიონ ის მედიასაშუალებები, რომლებიც აძლიერებს მათ უკვე არსებულ პოლიტიკურ შეხედულებებს და ამასთან, იგნორირება გაუწიონ სხვა შეხედულებებს²⁰.

¹⁸ მაქუილის (2015) მიხედვით, „ფრეიმინგის“ (Framing) განმარტება ორგვარია: პირველი ეხება იმას, თუ რა გზითაა ჟურნალისტის მიერ ახალი ამბების შინაარსი დამუშავებული, კონტექსტუალური და წარმოდგენილი რომელიმე ნაცნობ ჩარჩოში (ე.წ. ფრეიმში) ან მინიშნებაში. მეორე განმარტება კი უკავშირდება საზოგადოებაზე „ფრეიმინგის ეფექტს“, როცა აუდიტორია ითვისებს ჟურნალისტის მიერ მოწოდებულ „ფრეიმებს“ და სამყაროსაც ანალოგიური კუთხით ხედავს.

¹⁹ Dixit K. Avinash, Weibull W. Jörgen, Political polarization, Proc Natl Acad Sci U S A. 2007 May 1; 104(18): 7351–7356. Published online, 2007 Apr 23. doi: 10.1073/pnas.0702071104, CID: PMC1863477;

²⁰ Jasperson A., Gollins J., Walls D., Polarization in the 2012 presidential debates, Political Communications in Real Time, 2017, Routledge, p. 196-225.

კამპანტეს და პოჯმანის (2010) აზრით, მედიაგარემოს, მედიის ხელმისაწვდომობის გაზრდის და მრავალფეროვნების მეშვეობით, თავადაც შეუძლია ზეგავლენის მოხდენა პოლიტიკურ პოლარიზაციაზე²¹. მკვლევრები განიხილავენ მოქალაქეების პოლიტიკურ და იდეოლოგიურ შეხედულებებს, ასევე განწყობებზე მედიის პოტენციურ ეფექტს და ვარაუდობენ, რომ ყოველი მედია იმთავითვე გეთავაზობს კონტენტს, რომელსაც აქვს კონკრეტული იდეოლოგიური „მიკერძოება“ ან „სარედაქციო ხაზი“. ამასთან, ისინი მოიხმობენ სხვადასხვა მკვლევრის (ბიშოპის, სასტენის, გერბნერის და სხვ.) მოსაზრებებს, რომელზე დაყრდნობითაც აღნიშნავენ, რომ მასმედიას შეუძლია პოლარიზაციის გაზრდაც და შემცირებაც. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს აუდიტორიის მოტივაცია, ტექნოლოგიებთან ხელმისაწვდომობა და, საბოლოოდ, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით გაკეთებული მედიაარჩევანი. გასაზიარებელია მკვლევრების მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ პოლარიზაციის გაზრდა უკავშირდება ახალი ტექნოლოგიებისა და მედიუმის გაჩენის პერიოდებსაც. ამით მნიშვნელოვნად მყარდება მითი მედიის „ყოველსშემძლეობაზე“ და, შესაძამისად, იზრდება მისი ზეგავლენაც.

მედიის და პოლარიზაციის ურთიერთმიმართების კვლევისა და მიმოხილვისთვის გასათვალისწინებელი ფაქტორია თითოეული ქვეყნის სპეციფიკა, როგორც მედიაგარემოს, ასევე პოლიტიკური ლანდშაფტის კუთხით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რამდენად აძლიერებს საქართველოში არსებული პოლიტიკური პოლარიზაცია მედიაგარემოში არსებულ საფრთხეებს.

1.3. თვითცნობარა და შიშ

საქართველოში დემოკრატიის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მოქალაქეები, მედიის საშუალებით, ინფორმირებულნი იყვნენ აქტუალურ საკითხებზე და ეს პროცესი წარიმართოს ცენზურის გარეშე. ამ კუთხით თვითცენზურა მედიაგარემოში არსებული ერთ-ერთი გამოკვეთილი სა-

²¹ Campante, Filipe R., and Daniel Hojman. 2010. Media and Polarization. HKS Faculty Research Working Paper Series, RWP10-002, John F. Kennedy School of Government, Harvard University.

ფრთხეა, რომელიც გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში უხილავი ხელთ აკორექტირებს მედიის და საზოგადოების დღის წესრიგს. თვითცენზურის დროს ჟურნალისტი, თავდაცვის მიზნით, სხვისი მითითების ან ბრძანების გარეშე, საკუთარ ნამუშევარს მომზადების პროცესში წარმოსახვითი ცენზორის თვალთ უყურებს და თავად არედაქტირებს. როგორც ნოველისტი დანილო კისი (1986) ამბობს, თვითცენზურა კრეატიული ენერჯის ნეგატიური პოლუსია²². თვითცენზურის საკითხი მნიშვნელოვანია იმგვარად, რამდენადაც ის შესაძლოა მალავდეს იმ საფრთხეებს, რომლის წინაშეც მედიის წარმომადგენლები არიან და ღიად ვერ ან არ საუბრობენ. კისის შეფასებით, თვითცენზურასთან ბრძოლა დამთრგუნველი და დამამცირებელია, რადგან ცენზურის წინააღმდეგ ღია ბრძოლისგან განსხვავებით, რომელიც გმირობად აღიქმება, თვითცენზურასთან ბრძოლა ანონიმურია, ადამიანი მარტოა და ვერც ვერავინ ხედავს მის ბრძოლას. მკვლევრების (ლარსენის, ფადნესის და სხვ., 2020) აზრით, ჩვენ ნაკლებად ინფორმირებულები ვართ ჟურნალისტების თვითცენზურის პრაქტიკის შესახებ, კერძოდ, იმ შემთხვევების შესახებ, როცა „ჟურნალისტები რეპორტაჟების მომზადებისას საკუთარი უსაფრთხოებისთვის თავს არიდებენ კონკრეტულ თემებს, გაშუქების კუთხეებს, პერსპექტივებსა და ა.შ.“²³.

თვითცენზურა პროფესიული თვითაგრესიაა, რომელიც, გრძელვადიან პერსპექტივაში, აზიანებს ჟურნალისტს. მედიის წარმომადგენლები, რომლებიც თავის ნამუშევარს ცენზურის ფილტრში თავად ატარებენ, ჰგვანან ადამიანებს, რომლებიც „იმ ხის ტოტს ჭრიან, რომელზეც თავად სხედან“. როგორც იესილი (2014) აღნიშნავს, წლების განმავლობაში ამ რეჟიმში საქმიანობამ შეიძლება მედიაში დასაქმებულები გადააქციოს თვითცენზურის „ავტომატურ მანქანებად“ და მათი პროფესიული კარიერა დააზიანოს²⁴. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, მოქმედებს მედიის მიერ შექმნილ კონტენტსა და სანდოობაზე.

²² Danilo Kis, Censorship/self censorship, INDEX ON CENSORSHIP 1/86, available at <https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1080/03064228608534021> (last seen Oct 20, 2021)

²³ Journalist safety and self-censorship, edited by Anna Grøndahl Larsen, Ingrid Fadnes, et al, Routledge, 2020, p. 1

²⁴ Murat M. Yesil, The Invisible Threat for the Future of Journalism: Self-Censorship and Conflicting Interests in an Increasingly Competitive Media Environment, International Journal of Business and Social Science Vol. 5 No. 3; March 2014, available at https://ijbssnet.com/journals/Vol_5_No_3_March_2014/9.pdf (last seen oct 20, 2021)

წინამდებარე კვლევაში ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც თვითცენზურა ჟურნალისტების უსაფრთხოებას უკავშირდება და როგორც ლარსენი, ფადნესი და სხვები (2020) აღნიშნავენ, მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა შეიძლება იყოს შიში²⁵. ავტორები წყაროებზე დაყრდნობით (ლი და ჩანი, 2009; საიმონი, 2014; ტაპსელი, 2012; ვეისბორდი, 2002) განმარტავენ, რომ „არსებობს სხვადასხვა ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს თვითცენზურაზე. მათ შორისაა ფარული თვალთვალი, ორგანიზებული დანაშაული, ძალადობრივი კონფლიქტი, გენდერული შეხედულებები, კანონმდებლობა, მედიის მეპატრონეები და მმართველობის ფორმა.“ ეს ფაქტორები სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს რეგიონისა თუ ქვეყნის გათვალისწინებით. მასთან გასამკლავებლად ჟურნალისტები სხვადასხვა თავდაცვით მექანიზმს იყენებენ და ახალი ამბების ობიექტურობისა და ხარისხის ხარჯზე მიდიან კომპრომისზე. ზოგჯერ კი, იმისთვის, რომ უსაფრთხოდ იყვნენ, ისინი უარს ამბობენ გაშუქებაზე²⁶.

საბოლოოდ, ჟურნალისტებზე სხვადასხვა ფორმის ძალადობის მიზანია, რომ კრიტიკული კითხვები ჩანაცვლდეს სიჩუმით - რაც დემოკრატიის ხარისხზეც მოქმედებს. ქვეყნის და რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, თვითცენზურისკენ მიმავალი დარტყმები, უმეტეს შემთხვევაში, უკავშირდება კრიზისების პერიოდს და პოლიტიკურ ინტერესებს და აკორექტირებს იმ კონკრეტული თემების გაშუქების „ფრეიმებს“, რომლებიც რეგიონსა თუ სოციო-კულტურულ კონტექსტში მტკივნეულად მიიჩნევა.

1.4. წინასაარჩევნო მედიისაფრთხეების კონტურები საქართველოში

არჩევნების პერიოდში ამომრჩევლისთვის მედია ინფორმაციის მთავარი წყაროა. გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში მედიაგარემოს პოლარიზება და ჟურნალისტებზე წნეხი განსაკუთრებით არჩევნების პერიოდში იზრდება და გამოწვევად რჩება ამომრჩევლის სრულფასოვანი ინფორმირება. მას მერე, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, არჩევნები იქცა

²⁵ Journalist safety and self-censorship, edited by Anna Grøndahl Larsen, Ingrid Fadnes, et al, Routledge, 2020, p. 6

²⁶ Hasan Mubashar, Wadud Mushfique, Re-Conceptualizing Safety of Journalists in Bangladesh, Media and Communication (ISSN: 2183–2439) 2020, Volume 8, Issue 1, Pages 27–36 DOI: 10.17645/mac.v8i1.2494

დემოკრატიის ჩაბარების ტესტად. საქართველოში ჩატარებული არჩევნების შეფასებისას, საერთაშორისო სადამკვირებლო ორგანიზაციები (მათ შორის OSCE/ODIHR) სხვადასხვა გამოწვევას შორის, წლიდან წლამდე, გამოკვეთენ სწორედ მედიაგარემოს პოლარიზაციას და მედიაში გაშუქების შერჩევითობას, რაც თავის მხრივ, მოქალაქის ინფორმირებულობაზე ახდენს ზეგავლენას. მედიაგარემოს შეფასების კუთხით, საქართველოში 2021 წელს ჩატარებული არჩევნები, წინა წლებთან შედარებით, უფრო საგანგაშო იყო.

საქართველოში მედიის პოლარიზაციაზე ადგილობრივი მეკვლევრებიც ამახვილებენ ყურადღებას. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს პოლარიზებულ მედიაგარემოზე მსჯელობისას, ქართველი მეკვლევარი (რობაქიძე, 2019) აღნიშნავს, რომ, ხანგრძლივად იგნორირების შემთხვევაში, მედიის პოლარიზაციამ შესაძლოა პოლიტიკური ნიადაგზე საზოგადოებრივი ჯგუფების ექსტრემალურ დაპირისპირებასაც კი მისცეს ბიძგი²⁷. პოლარიზაციის ნაწილია დემონიზაცია, რომელიც „პოლიტიკური დისკურსის წარმოებისას, გამოიყენება როგორც ინსტრუმენტი მოწინააღმდეგის არა მხოლოდ დისკრედიტაციის ან დელეგიტიმიზაციის, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი ნარატივისა და ისეთი პოლიტიკური გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციის მიზნით, რომლებიც შესაძლოა სცდებოდეს დემოკრატიულ პრაქტიკას“²⁸. საქართველოში პოლარიზაციას აქვს დემონიზაციის ეფექტი, რომელიც ვლინდება ჟურნალისტებთან დამოკიდებულებაში, მათი სტიგმატიზაციისა და დისკრედიტაციის მცდელობებში.

ამ მხრივ, ნეგატიური ტენდენცია იყო 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს. წინასაარჩევნო მედიაგარემოში ჟურნალისტებისთვის, განსაკუთრებით ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიის წარმომადგენლებისთვის, პროფესიული საქმიანობის შესრულება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში გახდა²⁹. „საერთაშორისო გამჭვირ-

²⁷ რობაქიძე ნ., პოლიტიკური პოლარიზაცია და მედია – რა საფრთხის წინაშე დგას დემოკრატიული პროცესი საქართველოში? საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2019. ხელმისაწვდომია: www.gip.ge (ბოლო ნახვა 25 ოქტომბერი, 2021)

²⁸ სილაგაძე გ., გოზალიშვილი ნ., უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია, როგორც დემოკრატიზაციის პროცესის წინაშე არსებული საფრთხე, 2019. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3pMbfq> (ბოლო ნახვა 26 ოქტომბერი, 2021)

²⁹ მედია - ძალადობისა და ტოტალური უკანონო მოსმენების სამიზნე: წინასაარჩევნო მედიაგარემოს შეფასება, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 29 სექტემბერი, 2021, <https://transparency.ge/ge/post/media-zaladobisa-da-totaluri-ukanono-mosmenebis-samizne-cinasaarchevno-mediagaremos-shepaseba> (ბოლო ნახვა, 3 ოქტომბერი, 2021);

ვალობა-საქართველოს“ ანგარიშის მიხედვით, საჯაროდ გაგრძელებულ წყაროებზე დაყრდნობით, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან დღემდე სულ მცირე, 23 მედიასაშუალების წარმომადგენელზე 93 ძალადობის ფაქტი დაფიქსირდა. ჟურნალისტების დაცვის კომიტეტის (committee to protect journalists) მონაცემების მიხედვით, საქართველოში 1992 წლიდან 10 ჟურნალისტია მოკლული (მათ შორის, უცხოელებიც) და 8 შემთხვევაში მოტივი პროფესიული საქმიანობაა³⁰. ამ ეტაპზე დაუდასტურებელი მოტივით მოკლულთა მონაცემებში შეყვანილია ქართველი ოპერატორის - ლექსო ლაშქარავას გარდაცვალებაც.

მედიაუსაფრთხოების საკითხების კვლევისას მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს, უსაფრთხოების პრობლემებს და დაუსჯელობას, ასევე – როგორია აუდიტორიის და საზოგადოების რეაქცია ჟურნალისტების წინაშე არსებულ საფრთხეებზე.

Edison research-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, რომელიც ტელეკომპანია „ფორმულას“ დაკვეთით ჩატარდა (2021 წლის 13 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით), გამოკითხულთა 78% ამბობს, რომ ოპერატორ ლექსო ლაშქარავას სიკვდილს სრულიად ან ნაწილობრივ უკავშირებს არა ნარკოტიკების ზედოზირების ბრალდებას (რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ვერსიაში გახმიანდა გარდაცვალებიდან ორი დღის შემდეგ), არამედ იმ დაზიანებებს, რომელიც მან 5 ივლისს თბილისის ცენტრში ანტი-ლგბტ დემონსტრაციების გაშუქებისას მიიღო³¹.

Sonar Market metrics-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ „5 ივლისის საქართველო: 5 კითხვა 5 ივლისის შესახებ“³², აჩვენა 5 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებული სამოქალაქო პოზიციები და ემოციები თბილისის მოსახლეობაში (სატელეფონო ინტერვიუები ჩატარდა 502 მოქალაქესთან

³⁰ Journalist safety and self-censorship, edited by Anna Grøndahl Larsen, Ingrid Fadnes, et al, Routledge, 2020, p. 1-7;

³¹ Edison Research polls: incumbent Tbilisi Mayor Kaladze, ex-PM Gakharia equally liked by voters, Agenda.ge, 10 Sep 2021, Georgia, <https://agenda.ge/en/news/2021/2602> (last seen on Oct. 7, 2021).

³² კვლევამაძე ი., იშხნელი ნ., „5 ივლისის საქართველო: 5 კითხვა 5 ივლისის შესახებ“, შპს „სონარ მარკეტ მეტრიქსის“ კვლევა, ივლისი, 2021.

2021 წლის 7 ივლისს). აღნიშნულ კვლევაში კითხვაზე: „გმობთ თუ არა 5 ივლისს ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ ძალადობას?“ 83% პასუხობს, რომ გმობს, ხოლო კითხვაზე: „რა ემოციები გამოიწვია თქვენში ჟურნალისტებზე ძალადობის ფაქტების ნახვამ?“ – 89% პასუხობს, რომ „გაუჩნდა ჟურნალისტების თანადგომის სურვილი“, 80%-ს „შერცხვა“, 69%-ს გაუჩნდა „დაუცველობის განცდა“, ხოლო 56% -ს „დაეუფლა უიმედობა“.

სანდოობის შესანარჩუნებლად გამოწვევად რჩება მედიის მხრიდან პროფესიონალიზმის შენარჩუნება იმ გარემოში, რომელშიც მიზანმიმართული დეზინფორმაცია და ჟურნალისტების სამუშაოს მადისკრედიტირებელი კამპანიები მზარდია.

საქართველოში ხარისხიანი მედიის განვითარებისთვის ტოქსიკური და პოლარიზებული გარემოს მიუხედავად, მედიასაშუალებები ახერხებენ კრიტიკული და პლურალისტური დისკურსის შექმნას, საგამოძიებო მასალების მომზადებას და ინსტიტუციებს შორის მედიის სანდოობის შენარჩუნებას. Freedom House-ის ანგარიშის (2020) მიხედვით, პრესის თავისუფლების ინდექსით საქართველოში მედიაგარემო „ნაწილობრივ თავისუფალია“ (60 ქულით 100-დან)³³. ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საქართველოში „მედიაგარემო პლურალისტული, მაგრამ, მეტწილად, პარტიულია. ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედია კი გამოთქვამს უკმაყოფილებას პოლიტიკური ზეწოლის გამო“. კიდევ ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“, თავის ანგარიშში ადასტურებს, რომ საქართველოში მედია არის პლურალისტური, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან პოლარიზებული³⁴.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში 2021-ის წინასაარჩევნო გარემო მედიისთვის მრავალწახნაგოვანი კრიზისით ხასიათდება (არჩევნების, კოვიდ-19-ით გამოწვეული, ეკონომიკური კრიზისი). არჩევნების და პოლი-

³³ Freedom House, Freedom in the World, Country report – Georgia, 2020, <https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2020> (last seen on Sept. 26, 2021).

³⁴ Reporters Without Borders, country report, 2021, <https://rsf.org/en/georgia?nl=ok> (last seen on Sept. 26, 2021).

ტიკური თემების გაშუქება ყოველთვის იყო დამატებითი რისკი ჟურნალისტებისთვის. როგორც მკვლევრები (კაკაჩია, პატარაია, 2013) აღნიშნავენ, საქართველოში წინა წლებშიც იყო ავტორიტარული მმართველობის გაძლიერების მოლოდინი და პოლიტიკური პარტიებისთვის „არჩევნები ხდება ერთადერთი შანსი, როდესაც წარმატებას უნდა მიადწიონ და ამისთვის ყველა ღონეს ხმარობენ“³⁵. ამ პროცესში სამიზნე და წნეხის ობიექტი შეიძლება სწორედ მედია იყოს. 2021 წლის წინასაარჩევნო პერიოდმა აჩვენა, რომ რისკები მედიაგარეშეში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ 2021 წლის ანგარიშში აღნიშნავს, რომ ხელისუფლება ჟურნალისტების უფლებების დარღვევაზე სათანადოდ არ რეაგირებს, რაც კიდევ უფრო ახალისებს მედიის წარმომადგენელთა მიმართ ძალადობას³⁶. უნდა აღინიშნოს, რომ საფრთხეები გაიზარდა ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, როცა ჟურნალისტური საქმიანობისას წყაროებთან ონლაინკომუნიკაციები უფრო ინტენსიური გახდა.

არჩევნების პერიოდში ამომრჩევლისთვის მთავარი წყარო მედიაა, ხოლო ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიის მიერ შექმნილ დისკურსს თავისი ზეგავლენა აქვს საკუთარი უდიტორიის/ამომრჩევლის ქცევაზე. ხელისუფლების მხრიდან ამ ტიპის მედიის დისკრედიტაციის მიზანი კი სწორედ მისი სანდოობის შერყევა, საზოგადოებაში უნდობლობის გაჩენა, პროფესიის და ჟურნალისტთა საქმიანობის გაუფასურებაა. საქართველოში წინასაარჩევნოდ ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიის მადისკრედიტირებელი კამპანიები მიმდინარეობს. როგორც “Gnomon Wise”-ის მკვლევარი დავით ქუტიძე აღნიშნავს, დისკრედიტაციით და პროპაგანდისტული იარაღიყების საშუალებით

³⁵ კაკაჩია კ., პატარაია თ., სოციალური ქსელების როლი ქართულ პარტიულ პოლიტიკაში, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2013, გვ. 23;

³⁶ მედია - ძალადობისა და ტოტალური უკანონო მოსმენების სამიზნე: წინასაარჩევნო მედიაგარეშის შეფასება, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 29 სექტემბერი, 2021, <https://transparency.ge/ge/post/media-zaladobisa-da-totaluri-ukanono-mosmenebis-samizne-cinasaarchevno-mediagaremos-shepaseba> (ბოლო ნახვა, 3 ოქტომბერი, 2021);

³⁷ ქუტიძე დ., საქართველოს ხელისუფლების აგრესიული, პროპაგანდისტული რიტორიკა მედიის მიმართ - ავტორიტარების მიერ გამოცდილი ხერხი ჟურნალისტების დისკრედიტაციისთვის, Gnomon Wise, 2021, გვ.24; <https://gnomonwise.ug.edu.ge/public/storage/publications/September2021/7ptzlwREELIQXV2Yfb.pdf>, (ბოლო ნახვა 3 ოქტომბერი, 2021)

ხდება მედიის მიმართ უნდობლობის გაღვივება. მსგავსი მცდელობები კი აზიანებს მედიაგარემოს და, ზოგადად, დემოკრატიულ პროცესს³⁷.

საბოლოოდ, ყველაფერი ის, რაც ონლაინ და ფიზიკურ მედიაგარემოში ხდება, სტიმულირებს უწევს კვლევით გარემოს და აჩენს ახალ თემებს. წინასაარჩევნო მედიაგარემოს კვლევის აუცილებლობა გამოკვეთა იმ აშკარა საფრთხეებმა, რომელმაც თავი იჩინა 2021 წლის 5 ივლისის დემონსტრაციაზე ჟურნალისტების წინააღმდეგ განხორციელებულმა ძალადობამ, თუმცა, მანამდე და შემდეგაც ეს საფრთხეები ყოველთვის არსებობდა და იკვეთებოდა „რბილი ძალის“ ეფექტით. ამ კონტექსტში გამოწვევად რჩება აშკარა, მაგრამ ადამიანის გონებისთვის უხილავი, „უჩინმანინის ეფექტით“ მოსიარულე საფრთხეები, რომლებიც აღწეხვისა და რეაგირების გარეშე რჩება და დროთა განმავლობაში ზიანს აყენებს როგორც პერსონალურად ჟურნალისტებს, ასევე მედიაორგანიზაციებსა და აუდიტორიას.

მედია, სხვა ინსტიტუციების მსგავსად, არის ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის ფორმირების ინსტრუმენტი და დემოკრატიის ინდექსის ერთ-ერთი მთავარი მდგენელი. სწორედ ამიტომ, კვლევის შედეგები კიდევ ერთხელ გვაფიქრებს, რამდენად არის მედიაში დასაქმებული პირების უსაფრთხოება დემოკრატიის ხარისხთან კორელაციაში.

2. კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია და პროცედურები

არსებული სიტუაციისა და ლიტერატურის მიმოხილვის შედეგად გამოიკვეთა პირველადი კვლევითი კითხვები:

- რამდენად დაცულად გრძნობენ თავს მედიაში დასაქმებული პირები პროფესიული საქმიანობისას?
- რა ტიპის საფრთხეები გამოიკვეთა 2021 წლის წინასაარჩევნო მედიაგარემოში და როგორია მოლოდინები?
- რა მხარდამჭერი ინსტრუმენტები არსებობს მედიაგარემოს გაჯანსაღებისთვის და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მედიაში დასაქმებული პირებისთვის უფრო უსაფრთხო გარემო შეიქმნას?

კვლევის დიზაინად შერჩეულია შერეული/ჰიბრიდული კვლევის მეთოდოლოგია, კერძოდ, თანმიმდევრული განმარტებითი დიზაინი (sequential explanatory design). კვლევა ჩატარდა ორ ფაზაში: პირველი ფაზა მოიცავდა რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებას (ონლაინგამოკითხვას) და ანალიზს, რომლის შემდეგაც მეორე ფაზაში ჩატარდა თვისებრივი კვლევა (ფოკუს-ჯგუფების დისკუსია). რაოდენობრივი კვლევის ვებ-ანკეტირებისას, კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია სტრუქტურირებული კითხვარი, რომელმაც ზოგადი ტენდენციები აჩვენა და განსაზღვრა თვისებრივი კვლევის ფოკუსი. თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულია დისკუსიის გაიდლაინი, ნახევრადსტრუქტურირებული კითხვებით, რომლებიც

წინასწარ გაეგზავნა ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს. გაიღვინაში პირველადი კითხვები შეთავაზებული იყო კვლევის ავტორების მიერ, ხოლო მეორადი კითხვები გაჩნდა დისკუსიის მიმდინარეობისას მონაწილეების მხრიდან. ფოკუს-ჯგუფის მონაცემები დამუშავდა კონტენტ-ანალიზის და ეთნოგრაფიული ანალიზის მიდგომით. შედეგად, დისკუსიის მონაწილეების თვალთ დანახულ რეალობაზე დაყრდნობით, მოხდა მედიაგარემოზე დაკვირვება.

თვისებრივი მონაცემების კორპუსი მოიცავდა ტრანსკრიპტებს და ჩანაწერებს. ფოკუს-ჯგუფებიდან მიღებული თვისებრივი ინფორმაციიდან გამოვლინდა პატერნული კოდები და დამუშავდა როგორც რადენობრივად (კონტენტ-ანალიზის მეთოდოლოგიით მოხდა ტექსტში სპეციფიკური მახასიათებლების დათვლა და გამოვლინდა კონტრასტული შეხედულებები), ასევე თვისებრივად (მონაცემების კოდირება-კატეგორიზაციისა და სინთეზირების შემდეგ განხორციელდა თემატური კონტენტ-ანალიზი). რადენობრივი და თვისებრივი კვლევის მონაცემები დამუშავდა ცალ-ცალკე და შემაჯამებელ ეტაპზე მოხდა შედეგების ინტეგრირება, ურთიერთვალიდაცია და სინთეზირება.


კვლევის პერიოდად განისაზღვრა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წინასარჩევნო პერიოდი (28 ივლისი - 30 სექტემბერი). მედიაში დასაქმებული პირების ონლაინგამოკითხვა ჩატარდა 2021 წლის 28 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით. რესპონდენტებთან დაკავშირება მოხდა მიზნობრივად. გამოყენებული იყო Facebook-ის დახურული ჯგუფები, რომლებშიც გაწვევრიანებული არიან მედიაში დასაქმებული პირები, მათ შორის: ჟურნალისტები, ოპერატორები, რედაქტორები, პროდიუსერები, მედიამენეჯერები, ფოტოგრაფები, ბლოგერები და სხვ. სულ 56 მედიასაშუალებებიდან (ამათგან 18 რეგიონალური მედია) ანონიმურად გამოიკითხა 183 რესპონდენტი. მეორე ფაზაში, თვისებრივი კვლევის ფარგლებში, 2021 წლის სექტემბერში ჩატარდა სამი ფოკუს-ჯგუფი (მათ შორის, ერთი ონლაინფორმატში, რეგიონული მედიის წარმომადგენლების ჩართულობით). ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობდა 14 მედიასაშუალებების 24 წარმომადგენელი - ჟურნალისტები, ტოქ-შოუს წამყვანები, რედაქტორები, პროდიუსერები, დამფუძნებლები (კვლევაში ჩართული მედიასაშუალებების ჩამონათვალი იხილეთ დანართებში).

3. ინტეგრირებული ანალიზი და შედეგები

ინტეგრირებულმა ანალიზმა წარმოაჩინა მედიაში დასაქმებულების თვალთ დანახული ის მთავარი საფრთხეები, რომლებიც საქართველოში 2021 წლის არჩევნების წინა და შემდგომ პერიოდში გამოვლინდა. კვლევამ, საფრთხეებთან ერთად, გამოკვეთა ის კონკრეტული გზები, რომლითაც შესაძლებელია მედიაგარემოს გაუმჯობესება.


56 მედიასაშუალების 183 რესპონდენტის ონლაინგამოკითხვამ მოიცვა ყველა ასაკობრივი კატეგორია და მაქსიმალურად მიახლოებულად ასახა გენდერული გადანაწილება თავად მედიაში. დიაგრამებში N1 და N2 ნაჩვენებია დემოგრაფიული მონაცემები:

დიაგრამა N1: სქესი
გამოკითხულთა სქესი



● ქალი ● კაცი ● უარი პასუხზე (1)

დიაგრამა N2: ასაკი
გამოკითხულთა ასაკი




● 25 წლამდე ● 26-35 წლის
● 36-45 წლის ● 46 წელს ზევით

ონლაინგამოკითხვისას რესპონდენტებს, სამსახურობრივი პოზიციის მითითებისას, შეეძლოთ რამდენიმე პოზიციის მონიშვნა, რადგან მედიაში დასაქმების დამკვიდრებული პრაქტიკა აჩვენებს გარკვეულ შეთავსებებს, მაგ: ჟურნალისტები, რიგ შემთხვევაში, ითავსებენ პროდიუსერების ან გადაცემის წამყვანის საქმეს; მედიამენეჯერები არიან პროდიუსერები ან გადაცემის წამყვანები და სხვ. დიაგრამა N3 აჩვენებს გამოკითხულთა შორის მედიაში ორ ან მეტ პოზიციაზე შეთავსებით მუშაობის სტატისტიკას, სადაც ჩანს, რომ გამოკითხულთა 19 % (N=35) შეთავსებით ორ პოზიციაზე მუშაობს.

დიაგრამა N3: გამოკითხულთა სამსახურობრივი პოზიციები მედიაში და მათი შეთავსება ორ პოზიციაზე.

დასაქმება მედიაში ერთ ან რამდენიმე პოზიციაზე




როდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ინტეგრირებით დადგინდა, თუ როგორ აღიქვამენ თავად ჟურნალისტები უსაფრთხოების კუთხით გამოწვევებს და როგორ ცდილობენ, შეამცირონ რისკები. კერძოდ, როდენობრივმა და თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ 2021-ის წინასაარჩევნო პერიოდში მედიაში დასაქმებული პირებისთვის სამუშაო პირობები და მედიაგარემო არის საგანგაშო და სხვადასხვა საფრთხის შემცველი.

ონლაინგამოკითხვისას 56 მედიასაშუალებაში (მათ შორის 18 რეგიონულ მედიაში) დასაქმებული 183 გამოკითხულიდან 78 % პასუხობს, რომ, 2020 წელთან შედარებით, 2021 წელს მედიამარეგულირებელი უარესობისკენ შეიცვალა; დიაგრამა N4 აჩვენებს გამოკითხულთა შეფასებებს სკალაზე, სადაც 1 არის „უარესობისკენ შეიცვალა“, 3 – „არ შეცვლილა“, 5 – „უკეთესობისკენ შეიცვალა“. გამოკითხულთა შეფასებებით, მედიის მიმართ სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან გამოვლენილი პირდაპირი და ირიბი ძალადობის ფაქტები და ფორმები და, ზოგადად, არსებული საფრთხეები, მზარდია, რაც ნეგატიურად აისახება წინასაარჩევნო მედიამარეგულირებელი გამოკითხულთაგან მხოლოდ 3.2%-ის აზრით, წინა წელთან შედარებით, მედიამარეგულირებელი შეიცვალა უკეთესობისკენ.

დიაგრამა N4: წინასაარჩევნო მედიამარეგულირებელის შეფასება წინა წელთან შედარებით

როგორ შეიცვალა მედიამარეგულირებელი საქართველოში 2021 წელს, 2020-თან შედარებით?




ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ასევე ადასტურებენ, რომ წინა წელთან შედარებით, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და საფრთხეები გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტიკა ისედაც სახიფათო პროფესიაა ადამიანის, გამოკითხულები ახლა „სასიკვდილო საფრთხეებზე და ტერორზე“ მინიშნებენ.

წინასაარჩევნო მედიამარეგულირებელის შეფასების კონტექსტში, ონლაინგამოკითხვისას, რესპონდენტებმა უპასუხეს კითხვას: „რამდენად დაცულია პროფესიული საქმიანობისას მედიაში დასაქმებულ პირთა უსაფრთხოება?“ შეფასება მოხდა სკალის მიხედვით, სადაც 1 არის

„ძალიან დაუცველია“, 5– „ძალიან დაცულია“. დიაგრამა N5 აჩვენებს, რომ წინასწარჩვენო მედიაგარემოს შეფასებისას, გამოკითხულთა 63% (N=117) პასუხობს, რომ პროფესიული საქმიანობისას მედიაში დასაქმებული პირების უსაფრთხოება დაცული არ არის. მათი მხოლოდ 8.2% პასუხობს, რომ უსაფრთხოება „ძალიან ან მეტწილად დაცულია“.

დიაგრამა N5: მედიაში დასაქმებულ პირთა უსაფრთხოების თვითშეფასება



ფოკუს-ჯგუფებში მედიის წინაშე არსებულ კონკრეტულ საფრთხეებზე (როგორც ონლაინ, ასევე ფიზიკურ მედიასივრცეში) და მათზე რეაგირების მზაობაზე საუბრისას, ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ საფრთხეებს სიმრავლის გამო შეეჩვივნენ, ამიტომ რეაგირების ნაწილში ჩანს როგორც საზოგადოების, ასევე ჟურნალისტების მხრიდან რელევანტური ემოციების (მათ შორის, ბრაზის) მიმართ მგრძობელობის დაკარგვა (ე.წ. დესენსიტიზაცია). ჟურნალისტების მიმართ პირდაპირი და ირიბი ძალადობის არაფრაგმენტულობის გამო, დისკუსიის მონაწილეებს, არჩევნების შემდეგ, უარესის მოლოდინი აქვთ.

3.1. მიკრო და მაკრო მედიასაფრთხეები

კვლევისას გამოიკვეთა მიკრო და მაკრო მედიასაფრთხეები, რომლებიც ქვეთავებში დეტალურად არის გაანალიზებული. ეს საფრთხეები ურთიერთდაკავშირებულია და აქვს თავისი სტრუქტურა და მიზნები. დისკუსიისას გამოიკვეთილი მედიასაფრთხეები ემსახურება თვითცენზურისა და შიშის გაძლიერებას, ასევე მედიის სანდოობისა და მის მიმართ მხარდაჭერის შემცირებას, მედიანსტიტუციის სიცოცხლისუნარიანობის შესუსტებას.

უმთავრეს მაკრო მედიასაფრთხედ გამოიკვეთა პოლიტიკური პოლარიზაცია და პოლარიზაცია თავად მედიაორგანიზაციებს შორის. პოლარიზაციის შედეგად გამოვლენილი მიკროსაფრთხეებია:

► ჟურნალისტების და მედიასაშუალებების სტიგმატიზაცია (პარტიული იარაღების მიკერება) და დისკრედიტაციის მცდელობა;

► ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა. მათ შორის, ამბის დაბალანსებულად თხრობასა და ხარისხიანი მედიაპროდუქტის შექმნაში ხელის შეშლა, რაც უმთავრესად გამოიხატება წინასწარგამიზნულად წყაროებთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვასა და ხელის შეშლის მიზნით ფარულ თვალთვალში.

ამ მედიასაფრთხეების დაგეგმილი და სისტემური აქტივაციის მიზანია საბოლოოდ მედიის სანდოობის და მის მიმართ მხარდაჭერის შემცირება. ასევე, მედიანსტიტუციის სიცოცხლისუნარიანობის და ჟურნალისტების სტრეს-მდეგობის, ასევე მედიისადმი სოლიდარობის და მხარდაჭერის შესუსტება, თვითცენზურის და შიშის გაძლიერება.

ონლაინგამოკითხვასა და ფოკუს-ჯგუფების ანალიზზე დაყრდნობით, გამოიკვეთილი მაკროსაფრთხეა - ჟურნალისტებზე ფიზიკური და ვერბალური ძალადობის წახალისება (მათ შორის, ხელისუფლების მხრიდან სიძულვილის ენის და აგრესიული რიტორიკის გამოყენება). ეს ძალადობა მოიცავს უკვე დასახელებულ და ასევე, სხვა ისეთ მიკროსაფრთხეებს, როგორცაა:

- ჟურნალისტების დაცინვა, დამცირება და მუქარები;
- ჟურნალისტების, თავად პროფესიის და მედიასაშუალებების საქმიანობის დისკრედიტაციის მცდელობა;
- ჟურნალისტებზე და მათ ახლო გარემოცვაზე დეზინფორმაციის გავრცელება;
- ძალადობა ონლაინ მედიასივრცეში.

ეს მედიასაფრთხეები კიდევ უფრო აძლიერებს თვითცენზურას და შიშს, ასუსტებს მედიანსტიტუციის სიცოცხლისუნარიანობას და უარყოფითად მოქმედებს მედიისადმი სოლიდარობის და მხარდაჭერის ჩვენებაზე.

ფოკუს-ჯგუფების დისკუსიისას გამოკვეთილი მაკროსაფრთხეა ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოუძიებლობა ან/და დაუსჯელობა, როგორც წამახალისებელი ფაქტორი. ეს ფაქტორი აძლიერებს შიშს და თვითცენზურას. ასევე, მაკროსაფრთხედ შეგვიძლია მივიჩნიოთ რუსული პროპაგანდის ავთოისებიანი ბუნება და მანვნი გავლენა (ე.წ. malign influence), რომელიც ლაიტმოტივად გასდევს მთელ დისკუსიას.

3.1.1. პოლარიზაცია, რომორც მედიასაფრთხე

გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებისთვის პოლიტიკური პოლარიზაცია არის ის ერთ-ერთი მთავარი საფრთხე, რომელიც მედიაგარემოში აჩენს მიკროსაფრთხეებს და ხელს უშლის მედიას დემოკრატიის გაძლიერების გზაზე განახორციელოს მისთვის დაკისრებული ფუნქციები. ფოკუს-ჯგუფების დისკუსიისას, სიტყვა „პოლარიზაცია“ საკვანძო სიტყვებში ყველაზე მეტჯერ – 28-ჯერ, იყო ნახსენები სხვადასხვა კონტექსტში. მართალია, თავად პოლიტიკური გარემოს ტრანსფორმაციაზე ჟურნალისტები პირდაპირ ზეგავლენას ვერ ახდენენ, მაგრამ სწორედ მისგან გამოწვეულ მიკრო მედიასაფრთხეებზე რეაგირებას (რაც პირდა-

პირ მედიაში საქმიანობას ეხება) შეუძლია პოლარიზაციის მთლიანი ეფექტის შემცირებაც. დისკუსიამ აჩვენა, რომ მაკროსაფრთხეებზე რეაგირების ეფექტური მექანიზმები შესაძლოა სწორედ მედიავარემოში არსებულ მიკროსაფრთხეებზე რეაგირებაში იკვეთებოდეს.

ზოგადად, პოლარიზაციას უკავშირდება ის ქვეკატეგორიები, რომლებიც კვლევაში განხილულია მედიავარემოში არსებულ საფრთხეებად: ჟურნალისტების სტიგმატიზაცია და დისკრედიტაციის მცდელობა, ხელის შეშლა ჟურნალისტურ საქმიანობასა (მათ შორის, წყაროებთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვა და ხელის შეშლის მიზნით ფარული თვალთვალი) და ხარისხიანი მედიაპროდუქტის შექმნაში. ეს ყველაფერი პირდაპირ და ირიბად იწვევს მედიის ინსტიტუციის სანდოობის შემცირებასა და სოლიდარობის შესუსტებას.

2021 წლის წინასაარჩევნო მედიავარემოს დახასიათებისას, მედიის წარმომადგენლები პოლარიზაციას სწორედ მედიავარემოში არსებული საფრთხეების და პოლიტიკური ველის ურთიერთზეგავლენის ჭრილში განიხილავენ. კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოში პოლარიზაციას მედიასთან მიმართებით აქვს ე.წ. დემონიზაციის ეფექტი. დისკუსიებმა აჩვენა, რომ პოლიტიკოსების ნაწილის მხრიდან მედია აღქმულია, როგორც პოლიტიკური ოპონენტი და მისი დისკრედიტაცია-დელეგიტიმაცია ამ დისკუსიაში მიმდინარეობს.

მედიის წინააღმდეგ წარმოებული ყოველი მადისკრედიტირებელი კამპანია არის მცდელობა, დაკნინდეს მედიის როლი და ჟურნალისტების სტატუსი საზოგადოებაში. ჟურნალისტებისა და მედიისადმი ნდობის შემცირებას კი მათი სტიგმატიზაცია უწყობს ხელს. ამის მცდელობა 5 ივლისსაც გამოჩნდა. ზოგადად, 5 ივლისის და ლექსო ლაშქარავას სიკვდილი დისკუსიისას 17-ჯერ იყო ნახსენები, როგორც მედიავარემოს გაუარესების დინამიკის დამადასტურებელი ფაქტი და მედიაზე ძალადობის „სიმბოლური დატვირთვის მქონე დღე“. ამ დღეს კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ხელისუფლების სტრატეგია, რაც გულისხმობს კრიტიკული ტელევიზიების „მიბმას“ პოლიტიკურ პარტიებთან და შემდგომში მათ სტიგმატიზაციას. ხელისუფლებისგან პარტიული იარაღების მიკერების ტენდენცია ეხება ყველა იმ მედიას, რომელიც სვამს კრიტიკულ

კითხვებს. დისკუსიისას აღინიშნა, რომ ხელისუფლება მედიას ექცევა, როგორც პოლიტიკურ ოპონენტს.

საინტერესოა ფოკუს-ჯგუფის მონაწილეების მოსაზრება ჟურნალისტების დაშინების და თვითცენზურის ურთიერთკავშირზე (მაგალითად, როცა ჟურნალისტები საქმიანობისას, ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოებისთვის თავს არიდებენ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების გაშუქებას და/ან კონკრეტული ასპექტების წარმოჩენას). დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ ჟურნალისტებისთვის, განსაკუთრებით ახალბედებისთვის, სწორედ პოლიტიკური იარაღიების მიზმა და სტიგმატიზაცია აძლიერებს შიშს და თვითცენზურას. ამის შესახებ დისკუსიის მონაწილე აღნიშნავს: „ჩვენ გვიწოდეს ‘ზონდერ-ჟურნალისტები’. მათთვის ეს ნიშნავდა იმ ადამიანს, რომელიც სვამდა ბევრ კითხვას. როცა თვითცენზურა ჩნდება, ის სწორედ ამ პროფესიულ უნარს ანეიტრალებს და კითხვების მაგივრად ჩნდება სიჩუმე“ (ტელეკომპანია „რუსთავი 2“, ჟურნალისტი).

პოლიტიკური პოლარიზება ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ რა შეკითხვას დასვამს ჟურნალისტი. იკვეთება თვითცენზურა, როცა ჟურნალისტი აღარ სვამს „არამეინსტრიმულ“ კითხვებს, რაც საბოლოოდ მედიაპროდუქტის ხარისხზეც აისახება. ჟურნალისტების აზრით, პოლარიზაციით გაჩენილი საფრთხეები პროფესიული სტანდარტების ან საქმიანობის გაუმჯობესებითა და მექანიზმების დანერგვით არ და ვერ აღმოიფხვრება. მედიაში ამჟამად არსებული ინსტიტუციური ხარვეზების აღმოფხვრა და საფრთხეების განეიტრალება არა პროფესიულ უნარ-ჩვევებში, არამედ უფრო მეტად თავად პოლიტიკური გარემოს ცვლილებაშია.

დისკუსიის მონაწილეებმა მედიაგარემოს პოლარიზაცია დაუკავშირეს მედიის ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობას და აღნიშნეს, რომ სხვადასხვა მედიასაშუალება ფინანსურად არის დამოკიდებული ხელისუფლებაზე. მონაწილეებმა იმსჯელეს გამოსავალზეც და გამოთქვეს მოსაზრება, რომ აუცილებელია მედიასაშუალებები აღარ იყვნენ ფინანსურად დამოკიდებული ხელისუფლებაზე და უნდა ჩამოყალიბდნენ ბიზნეს-სუბიექტებად. ამის შესაცვლელად კი თავად პოლიტიკური გარემოს და მითამაშეების შეცვლაა აუცილებელი. აღსანიშნავია, რომ ეს

პრობლემა არახალია - 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს პოლარიზებულ მედიაგარეშეზე მსჯელობისას ქართველი მეკვლევა (რობაქიძე, 2019) აღნიშნავს, რომ საქართველოში მედია ადვილად იქცევა პოლიტიკური ბრძოლის იარაღად და ეს იმიტომაც აიხსნება, რომ მედიას დამოუკიდებელი ფინანსური არსებობის ტრადიცია არ აქვს. ძლიერი მედია საშუალებები სხვადასხვა დროს დამოკიდებულნი იყვნენ და არიან ძლიერი პოლიტიკური ინტერესების მქონე ჯგუფებზე³⁸.

დისკუსიამ გამოკვეთა, რომ საქართველოს მედიაბაზარისთვის დამახასიათებელია ნეგატიური ტენდენცია, როცა თავად ჟურნალისტები, სამსახურის ცვლილებისას, აზრის პოლიტიკური ზეგავლენიდან გამომდინარე, სწრაფად ერგებიან მათთვის აქამდე „მიუღებელ“ სარედაქციო სტანდარტებს. დისკუსიის მონაწილე აღნიშნავს: „პრობლემაა, როცა ხედავ, რომ ჟურნალისტები ფეხბურთელების ტრანსფერებივით იცვლიან არხებს და მათი პოზიციებიც ამის შესაბამისად რადიკალურად იცვლება. მე, როგორც მაყურებელს, ეს უნდობლობას მიჩენს და, საერთო ჯამში, აზარალებს პროფესიას“ („რადიო თავისუფლება“, ჟურნალისტი).

მესამე ფოკუს-ჯგუფში (სადაც რეგიონული და ონლაინმედიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ) ასევე გამოიკვეთა აზრი, რომ პოლიტიკური პოლარიზაცია ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ჟურნალისტის პროფესიაზე. დღეს მედიაც, საზოგადოების მსგავსად, პოლარიზებულია და პოზიციონირებს როგორც სახელისუფლებო ან ოპოზიციური მედია. მონაწილეების აზრით, შარშანდელთან შედარებით, წინასაარჩევნო მედიაგარეშე კიდევ უფრო პოლარიზებული გახდა, ხოლო ჟურნალისტები კიდევ უფრო ღიად აფიქსირებენ პოლიტიკურ პოზიციებს. კონტრასტულია მათი შეფასება ონლაინ მედიასაშუალებებთან მიმართებით, რომლებიც, მონაწილეების აზრით, ნაკლებად არიან პოლარიზებულნი, ნაკლებად ექცევიან პარტიული გავლენების ქვეშ და ამიტომ უფრო ინარჩუნებენ ობიექტურობას. ამის მიზეზად მესამე ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ასახელებენ დაფინანსების წყაროების და კონტენტის დამკვე-

³⁸ რობაქიძე ნ., პოლიტიკური პოლარიზაცია და მედია – რა საფრთხის წინაშე დგას დემოკრატიული პროცესი საქართველოში? საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2019. ხელმისაწვდომია: www.gip.ge (ბოლო ნახვა 25 ოქტომბერი, 2021)

თის მოთხოვნებს. კერძოდ, ონლაინ და რეგიონული მედიის ნაწილი საერთაშორისო გრანტებზეა დამოკიდებული და ეს ორგანიზაციები ჟურნალისტებისგან სტანდარტების დაცვას მოითხოვენ. მსგავს ტენდენციებზე მიანიშნებს რეგიონული მედიის წარმომადგენელიც.

დისკუსიის მონაწილეების აზრით, პოლარიზაციის ფორმაა ჟურნალისტების ერთმანეთის წინააღმდეგ წაქეზება და თავად მედიის ველზე ამ მაკროსაფრთხის გაძლიერება. აღსანიშნავია, რომ ონლაინ გამოკითხვისას 22%-მა აღნიშნა, რომ საფრთხეების მოლოდინი აქვთ სხვა მედიასაშუალებების მხრიდან.

პოლარიზებულ გარემოში მუშაობა დისკომფორტია ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ მედიაში დასაქმებულთათვის (რეპორტიორებისთვის, პროდიუსერებისთვის, ტოქ-შოუს წამყვანებისთვის, ოპერატორებისთვის, რედაქტორებისთვის და სხვ.). დისკუსიისას გამოიკვეთა კრიტიკულ მედიასთან ბრძოლის ახალი ტაქტიკა - „გამოიყენე მედია ჟურნალისტის წინააღმდეგ“ და აღინიშნა, რომ ჟურნალისტები საქმიანობისას აღარ იჩენენ პროფესიულ ეთიკას და კოლეგიალობას, მაგალითად, ერთმანეთს ხელს უშლიან და არ აძლევენ საშუალებას, რომ პოლიტიკოსებს თანმიმდევრულად დაუსვან კითხვები. ამავდროულად, კრიტიკულ კითხვებს თან სდევს ირონია და დაცინვა „სამთავრობო მედიის“ მხრიდან. დისკუსიის მონაწილის აზრით, „იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ყაყანი“ კითხვის დასმისას შეთანხმებულია, რომ პოლიტიკოსმა საპასუხოდ აარჩიოს მისთვის მისაღები და არა კრიტიკული კითხვა“ (ონლაინ გამოცემა „ტაბულა“, რედაქტორი).

დისკუსიისას გამოიკვეთა შიში, რომ ხელისუფლება მედიაზე სრული კონტროლის ვერმომოვების შემთხვევაში, გარკვეული დროის შემდეგ, კვლავ შეეცდება მის შევიწროებას და მოინდომებს კიდევ უფრო დაქსაქსული გახადოს ის.

მეჯამებისთვის: საქართველოში წინასაარჩევნოდ პოლარიზაცია აძლიერებს თვითცენზურას, რომლის მიზანია ჟურნალისტის კრიტიკული კითხვები ჩაანაცვლოს სინუმემ და შიშმა. როგორც გამოკითხვამ და დისკუსიებმა დაადასტურა, პოლიტიკური პოლარიზაცია ნეგატიურ

ზეგაგლენას ახდენს მედიის მიერ შექმნილ კონტენტზე, ამცირებს აუდიტორიის ნდობას და აძლიერებს თავად მედიებს შორის პოლარიზაციას და დაპირისპირებას. საქართველოში პოლარიზაცია და თვითცენზურა ნეგატიურად მოქმედებს მედიის, როგორც ინსტიტუციის სიცოცხლისუნარიანობაზე.

3.1.2. ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლა

ყოველი საარჩევნო კამპანია მედიის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს, როცა დემოკრატიული პროცესების კვალდაკვალ ინდივიდუალური არჩევანი კოლექტიურ გადაწყვეტილებად გარდაიქმნება (პოველსი, 2001)³⁹. მედია არის ინფორმაციის მთავარი წყარო, რომელიც განაპირობებს თუ რამდენად გაცნობიერებულ არჩევანს გააკეთებს ამომრჩეველი. გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში და მათ შორის, საქართველოში, გამოწვევად რჩება წინასაარჩევნო პერიოდში უსაფრთხო გარემოში ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება.

ციფრული ეპოქის თავისებურების გამო, ჟურნალისტებისთვის ახალი საფრთხეები გაჩნდა. გაიზარდა თვითნებური და უკანონო ფარული თვალთვალის რისკები, რამაც, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას არა მარტო ჟურნალისტებს, არამედ მათი წყაროების კონფიდენციალობის დაცვას და, შესაბამისად, უსაფრთხოებას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიის ჟურნალისტების წინააღმდეგ ფარულ და უკანონო მოსმენებს საქართველოში ტოტალური ხასიათი აქვს. „მინიმუმ 10 მედიასაშუალებების 55 ჟურნალისტი ადასტურებს, რომ სუს-ის ფაილებში არსებული ინფორმაცია ნამდვილია და მსგავსი შინაარსის კომუნიკაციას ჰქონდა ადგილი“⁴⁰.

³⁹ Howells, R. (2001). Media, education and democracy. *European Review*, 9(2), 159-168;

⁴⁰ „მედია — ძალადობისა და ტოტალური უკანონო მოსმენების სამიზნე: წინასაარჩევნო მედიაგარემოს შეფასება“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 29 სექტემბერი, 2021, <https://transparency.ge/ge/post/media-zaladobisa-da-totaluri-ukanono-mosmenebis-samizne-cinasaarчевno-mediagaremos-shepaseba> (ბოლო ნახვა, 3 ოქტომბერი, 2021)

დისკუსიამ აჩვენა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს-ის) მიერ ფარული მიყურადების ამსახველი ფაილების გამოჩენის შემდეგ ჟურნალისტებისთვის უფრო გასაგები და ცხადი გახდა სხვადასხვა გარე ძალის მიერ ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის შემუშავებული სქემები და საფრთხეები. არსებული საფრთხეები მხოლოდ ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლას კი არ იწვევს, არამედ მოიცავს მედიის წარმომადგენლებისთვის სიცოცხლის რისკებსაც. ჟურნალისტების აზრით, ჩინოვნიკები ცდილობენ ჟურნალისტების მანიპულირებას და ინფორმაციის მოსაპოვებლად ველზე გასულ მედიას ადგილზე ახვედრებენ აგრესიულ ჯგუფებს, რომლებიც ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ მათ. დისკუსიის მონაწილეები ასეთი შემთხვევების კონკრეტულ მაგალითებსაც იხსნებენ:

1. „სამონასტრო კომპლექს დავით გარეჯის თემის გაშუქებისას, როდესაც ჟურნალისტები გადაღებაზე იყვნენ ჩასუღნი, მათ ჯერ ადგილზე ფიზიკურად გაუსწორდნენ, ხოლო როდესაც უკან ბრუნდებოდნენ, გზაზე დახვდნენ და აღარ გამოატარეს. ამას ვერ მოახერხებდა მხოლოდ სასულიერო პირი თავისი რესურსით. ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ მობილიზებაში ჩართული იყვნენ მმართველი პარტიის წარმომადგენლები და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები“ (ტელეკომპანია „ფორმულა“, ტოქ-შოუს წამყვანი);

2. „5 ივლისს ჟურნალისტები ვეკონტაქტბოდით „სირცხვილიას“ აქტივისტებს, რომლებსაც მოძალადე ჯგუფები ანგარიშსწორებისთვის დასდევდნენ. ამის გამო აქტივისტები ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ. აშკარაა, რომ მათი ტელეფონები ისმინებოდა, რადგან, როგორც კი მივიდოდნენ ‘ა’ პუნქტიდან ‘ბ’ პუნქტში, იქვე მიდიოდა უსაფრთხოების სამსახურიც, და არა მარტო ისინი“ (ტელეკომპანია „ფორმულა“, ტოქ-შოუს წამყვანი);

3. „სუს-ის ე.წ. „კრებსების“ ფაილები აჩვენებს, რომ ფარული თვალთვალი მასშტაბურია და ხალხს წარმოდგენა არ აქვს, რომ ჩვეულებრივ ადამიანებსაც უსმენენ. უსმენენ ელჩების თანაშემწეებს და მძღოლებსაც კი... აქ უკვე ჟურნალისტური სტანდარტების დაცვაზე არაა საუბარი, აქ სხვა საფრთხეა: გავა ჟურნალისტი ველზე და შეიძლება, უბრა

ლოდ, საბურავი გაუჭრან, ან დახვდნენ იმ ლოკაციაზე, რომელზეც მიდის და ფიზიკურად გაუსწორდნენ“ (ტელეკომპანია „ფორმულა“, მთავარი პროდიუსერი);

აღნიშნული საფრთხეები ზეგავლენას ახდენს ჟურნალისტური პროდუქტის ხარისხზე და ყოველდღიურ რუტინაზე. დისკუსიის მონაწილეები თანხმდებიან, რომ გამწვავებულ კრიზისულ სიტუაციებში, ფარული მიყურადების და თვალთვალის ფონზე, უმჯობესია პროდიუსერებმა ჟურნალისტები დროულად გამოიწვიონ გადასაღები მოედნიდან.

კრიზისულ სიტუაციებში მუშაობის მსოფლიოში მიღებული პრაქტიკით, მეტი დაცულობისთვის, ჟურნალისტებს ურჩევენ, ატარონ პრესის ამოსაცნობი ნიშნები და წარწერები. საქართველოში კი მედიაზე არატიპიური ზეწოლა ამის საპირისპირო პრაქტიკას აჩვენებს. კერძოდ, დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ ჟურნალისტების უსაფრთხოებისთვის რედაქტორები მათ ურჩევენ, დამალონ, რომ ჟურნალისტები არიან და მაიდენტიფიცირებელი ნიშნებიც არ გამოაჩინონ.

მედიის როლი კიდევ უფრო იზრდება არჩევნების დროს, რადგან ის არის ამომრჩევლის ინფორმირების მთავარი მედიუმი. ჟურნალისტების დაშინება იმისთვის, რომ არჩევნების პერიოდში გაიზარდოს თვითცენზურა, არ გააშუქოს მოვლენები, მიზნად ისახავს იმასაც, რომ ამომრჩეველი არ იყოს ობიექტურად და სრულყოფილად ინფორმირებული ამა თუ იმ კანდიდატის შესახებ. თვითცენზურასთან ერთად, ინფორმაციასთან წვდომის შეზღუდვა პირდაპირ იწვევს ინფორმაციის არასრულად ან გამრუდებულად მიწოდებას, რაც წინასაარჩევნო პერიოდში აზიანებს ამომრჩევლის ინფორმირებულობის ხარისხს.

დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში რეგიონულ მედიაში, თბილისში მყოფ მედიასაშუალებებთან შედარებით, ნაკლებად დაბაბული მედიაგარემოა. თუმცა თანაბრად გამოიკვეთა სახელისუფლებო წყაროებთან მედიის კომუნიკაციის და საჯარო ინფორმაციის მოპოვების პრობლემა. ხელისუფლების წარმომადგენლები თავად ამზადებენ მასალებს, რომლებიც სურთ იხილონ მედიაში. ამ პრობლემას

გამოკვეთენ რეგიონული მედიის წარმომადგენლები. მაგალითად:

1. „გორში მერობის კანდიდატის წარდგენის დღეს ჟურნალისტები ახლოსაც არ მიუშვეს. მათი მიდგომა ასეთია: ჩვენ უნდა დავჯერდეთ მათ მიერ მოწოდებულ პრესრელიზებს, ვიდეომასალას, ტექსტს“ (გორის რადიო „მოზაიკა“, ჟურნალისტი);
2. „ხელისუფლების მმართველი გუნდის კანდიდატს უკვირს კითხვას რომ ვუსვამ. მისი აზრით, წინასწარ მომზადებული სიტყვით გამოსვლის იქით კითხვა არ უნდა დასვა“ (რუსთავის ტელეკომპანია „ტვ 4“, ჟურნალისტი);
3. „სახელისუფლებო კანდიდატის წარდგენისას ჟურნალისტები დაგვაყენეს ბოლოში, საიდანაც არც არაფერი ჩანდა და არც ხმა ისმოდა. ამ დროს ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტები მუშაობდნენ, „პოსტ ტვ“-ც წერდა რესონდენტებს. ჩვენ კი დაგვემუქრნენ, რომ თუ ზედმეტად ვიაქტიურებდით, გაგვაძევებდნენ. იმ დღეს შეკითხვა ვერავის დავეუსვი. ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლებას ჟურნალისტის ეშინია“ (ონლაინ-გამოცემა „ჩემი იმერეთი“, მთავარი რედაქტორი).

არის შემთხვევები, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები ჟურნალისტებს მათთვის არასასურველი წყაროების შერჩევის და პოლიტიკური ოპონენტების მედიით გაშუქების გამო ამუნათებენ.

შეჯამებისთვის: დისკუსიებმა დაადასტურა, რომ საქართველოში ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვის შედეგად, ვერ ხდება აუდიტორიის მისთვის საჭირო თემებზე სრულყოფილად ინფორმირება, რაც ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და მედიის სანდოობაზე. საერთაშორისო პრაქტიკის კვალდაკვალ, საქართველოში ჩატარებულმა კვლევამაც დაადასტურა, რომ არჩევნების პერიოდში ეს გამოწვევები უფრო თვალშისაცემი ხდება. როგორც დისკუსიებმა აჩვენა, ხარისხიანი მედიაპროდუქტის შექმნას ხელს უშლის ტოტალური უკანონო და ფარული თვალთვალი, რომელიც „უხილავი ხელით“ აკორექტირებს ჟურნალისტების ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობას და აფერხებს მედიის, როგორც ინსტიტუციის გაძლიერებას.

3.1.3. ჟურნალისტიკაზე ფიზიკური და ვერბალური ძალადობა

საქართველოში გამოწვევად რჩება ჟურნალისტებზე ვერბალური და ფიზიკური ძალადობა, რომელიც კიდევ უფრო გაიზარდა 2021 წლის არჩევნების წინ. ზოგადად, ჟურნალისტების მიმართ ფიზიკური და ვერბალური ძალადობის მოლოდინი და ნიშნები წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით იზრდება და მისი მიზანია ჟურნალისტების დაშინება და მედიის დღის წესრიგზე ზემოქმედება.

ონლაინგამოკითხვამ აჩვენა, რომ საქართველოში მოსალოდნელი საფრთხეებიდან მედიაში დასაქმებულ პირთა უმრავლესობას (85%) აქვს სწორედ ვერბალური და ფიზიკური ძალადობის მოლოდინი; სხვა საფრთხეების – პირდაპირი და ირიბი ძალადობის (პროფესიის მუდმივი გაუფასურება, დაცინვა, დადანაშაულება, დეზინფორმაციის გავრცელება, დაშინება, დისკრიმინაცია, შანტაჟი და სხვ.) შეფასებისას, ასევე მაღალი პროცენტული მაჩვენებელია (40 %-ზე მეტი).


ფოკუს-ჯგუფებში პოსტ-საარჩევნო პერიოდის საფრთხეებს ჟურნალისტები საგანგაშოდ მიიჩნევენ და განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ფიზიკური ძალადობის და განადგურების შესაძლო რისკებზე.

დისკუსიისას წინა და პოსტსაარჩევნო მედიაგარემოს განხილვისას მნიშვნელოვანია საპროტესტო აქციების კონტექსტი. კერძოდ, 5 ივლისს მომხდარი მოვლენები. ეს თარიღი დისკუსიაში ნახსენებია 14-ჯერ. დისკუსიის მონაწილეებისთვის ოპერატორ ლექსო ლაშქარავას გარდაცვალება და ჟურნალისტების დარბევა მაგალითია იმისა, თუ რა დამოკიდებულება აქვს მმართველ პარტიას პრესის მიმართ. დისკუსიის მონაწილეები თანხმდებიან, რომ 5 ივლისის ძალადობა ქვეყანაში სწორედ დაგეგმილ არჩევნებს უკავშირდებოდა და ეს იყო „წინასაარჩევნო გაფრთხილება“. დისკუსიის მონაწილე აღნიშნავს: „ჩემთვის 5 ივლისი წინასაარჩევნო „სპოილერი“ იყო იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალში. ეს იყო არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ მორალური თავდასხმა. დღეს უკვე ფიზიკურ გადარჩენაზე საუბარი და ბევრმა დაიწყო ფიქრი პროფესიიდან და ქვეყნიდან წასვლაზე“ (ტელეკომპანია „ტვ პირველი“, თოქ-შოუს წამყვანი“).

დისკუსიის მონაწილეები შეშფოთებულები არიან იმის გამო, რომ საქართველოში პოლიტიკოსები ფორმალურადაც აღარ გამოთქვამენ წუხილს ჟურნალისტების მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე. „არაერთი მუქარა გაისმა ხელისუფლების მხრიდან და მაქვს მოლოდინი, რომ გაუსწორდებიან ყველას, ვისი თუნდაც ფეისბუქ-პოსტები არ მოსწონთ“, - აღნიშნავს მონაწილე (ტელეკომპანია „მთავარი“, წამყვანი და ჟურნალისტი).

ონლაინგამოკითხვისას რესპონდენტებმა უპასუხეს კითხვას: „თქვენი აზრით, წინასაარჩევნოდ გაიზრდება თუ არა მედიაში დასაქმებული პირებისადმი აგრესია და ზოგადად, საფრთხეები?“ დიაგრამა N6 აჩვენებს, რომ გამოკითხულთა 89% - ის აზრით, წინასაარჩევნოდ მედიაში დასაქმებული პირების მიმართ აგრესია და, ზოგადად საფრთხეები, გაიზრდება. გამოკითხულთა 11% აღნიშნავს, რომ არ იცის, გაიზრდება თუ არა აგრესია და საფრთხეები. არცერთი რესპონდენტი არ პასუხობს, რომ ეს უკანასკნელი „არ გაიზრდება“.

დიაგრამა N6: წინასაარჩევნო საფრთხეების მოლოდინი



დისკუსიისას, საფრთხის მოლოდინების შეფასებისას, პოსტ-საარჩევნო საფრთხეებთან დაკავშირებული პროგნოზი ორი მიმართულებით განვითარდა. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა ნაწილს მიაჩნია, რომ თუ პარტია „ქართული ოცნება“ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის არჩევნებს მოიგებს, ზეწოლა და ფიზიკური დაპირისპირება მედიის წინააღმდეგ გაიზრდება, ნაწილი კი ფიქრობს, რომ ეს მოხდება მაშინ, თუ მმართველი პარტია წააგებს. კონსენსუსი მაინც ის არის, რომ არჩევნებს მედიაგარემოზე გარდამტეხი ზეგავლენა ექნება.

არჩევნების შემდეგ საფრთხეების გაზრდის მოლოდინს აძლიერებს ის, რომ, მედიის წარმომადგენლებზე ძალადობის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ჟურნალისტები შემაკავებელ ფაქტორს და პრევენციულ ზომებს (კონკრეტულად - დამნაშავეების დასჯას) ფორმალურ განცხადებებშიც კი ვეღარ ხედავენ. მათი აზრით, ამით „ხელისუფლება ქმნის ჟურნალისტებზე ძალადობის და დანაშაულების გამოძიების იმიტაციას“ (ტელეკომპანია „მეგსტრო“, ჟურნალისტი).


დანაშაულის გამოძიების გაჭიანურება და დაუსჯელობა წარმოადგენს სისტემურ საფრთხეს, რომელიც მუშაობს, როგორც შემდგომი აგრესიის წამახალისებელი ფაქტორი და ხელს უშლის უსაფრთხო მედიანგარემოს ფორმირებას. უსაფრთხო გარემოს შექმნა ჟურნალისტებისთვის პირდაპირ კავშირშია დაუსჯელობის დასრულებასთან. ამ კონტექსტში ტერმინი „უსაფრთხოება“ აღნიშნავს და მოიცავს უსაფრთხოების და დაუსჯელობის პრობლემების გააზრების ერთობლივ პაკეტს, ანუ, საჭიროა შეჩერების მექანიზმის/შემაკავებელი ფაქტორის ამუშავება⁴¹.

ონლაინგამოკითხვისას რესპონდენტებმა უპასუხეს კითხვას: „ვისგან გაქვთ წინასაარჩევნო პერიოდში სხვადასხვა სახის ძალადობის მოლოდინი“? დიაგრამა N 7 აჩვენებს, რომ მედიის წარმომადგენლებს საფრთხეების მოლოდინი აქვთ სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან. გამოკითხულთა ყველაზე მეტ, 83%-ს ასეთი მოლოდინი აქვს ანტიდასავლურად განწყობილი ჯგუფებისგან, ხოლო 79%-ს - ხელისუფლების მხრიდან. ასევე, ძალადობის მოლოდინის მაღალი მაჩვენებელია რელიგიური დაჯგუფებების, სოციალისტების მომხმარებლებისა და კრიმინალური ჯგუფების მხრიდან (50 -70 %-მდე).

⁴¹ Towards a Research agenda on the safety of journalists, United Nations, UNESCO, 2015, available from https://en.unesco.org/sites/default/files/draft_research_agenda_safety_of_journalists_06_2015.pdf (last seen on Sept. 26, 2021).

დიაგრამა N7: სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან საფრთხეების მოლოდინები

ვისგან გაქვთ სხვადასხვა სახის ძალადობის მოლოდინი?



დისკუსიის მონაწილეებმა გაიხსენეს ფაქტები, მათ შორის, როდესაც ყოფილმა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა (ამჟამად ვიცე-პრემიერმა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა) წინასაარჩევნო პერიოდში რეგიონულ ჟურნალისტს მიკროფონი წაართვა და საჯაროდ დასცინა. დისკუსიის მონაწილე სხვა წევრებიც იხსენებენ მსგავს მაგალითებს და აღნიშნავენ, რომ ჟურნალისტების დამცირება ხელისუფლების რიტორიკის და მათი კომუნიკაციის ნაწილი გახდა: „თბილისის მერობის კანდიდატს ვკითხე, მოვიდოდა თუ არა დებატებზე „ფორმულას“ ეთერში. ამაზე პასუხი იყო: „თქვენ ჟურნალისტები ხართ? კრიტიკულ მედიას ეძახით საკუთარ თავს?“ და მომმართა დამცინავი ტონით - „თქვენ რა ჟურნალისტები ხართ!“ როცა ჟურნალისტის დამცირებას ტელევიზიით უყურებს ადამიანი, ესაა ბიძგი, რომ შემდგომში კვლავ განხორციელდეს ძალადობა ჟურნალისტზე“, - იხსენებს ერთ-ერთი მონაწილე (ტელეკომპანია „ფორმულა“, ჟურნალისტი).

დისკუსიისას ნახსენები იყო ინციდენტი, როცა ცნობილი ჟურნალისტის სახლის ძარცვის იმიტაცია მოხდა. ეს შემთხვევა მონაწილეებმა წინასაარჩევნო პერიოდში ჟურნალისტის კრიტიკულ გადაცემებს

დაუკავშირეს და შეაფასეს, როგორც მორალური ტერორი და დაშინება. დისკუსიისას სიტყვა „ტერორი“, ჟურნალისტებთან ძალადობის ან ჟურნალისტების სტიგმატიზაციის კონტექსტში, ნახსენებია 7-ჯერ. დისკუსიისას ამჟამინდელი ხელისუფლების პოლიტიკა და ცენზურა შედარებულია „წითელ ტერორთან“, ანუ საბჭოთა კავშირის რეპრესიებთან.

პოლიტიკური პოლარიზაციის ნეგატიური ეფექტია სიძულვილის ენის ტირაჟირება. წნეხის და კრიზისის დროს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ჟურნალისტებმა დაიცვან პროფესიული სტანდარტები, რომ შეინარჩუნონ აუდიტორიის ნდობა: „ხელისუფლებას ის უნდა, რომ სტანდარტიდან გადაგვახვეყნოს. ჩვენი მოვალეობა უნდა იყოს – კიდევ უფრო მკაცრად დავიცვათ სტანდარტები. სხვაგვარად დავაზიანებთ იმ საქმეს, რასაც ვემსახურებით“, – ამბობს ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე (ონლაინგამოცემა „პუბლიკა“, მთავარი რედაქტორი).

დისკუსიის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლების აგრესიული ნარატივის მიზანი საზოგადოების თვალში მედიისგან მტრის ხატის შექმნა და მედიის სტიგმატიზაციაა. „ხელისუფლება თავისი რიტორიკით ცდილობს, ჟურნალისტი გააიგივოს ტერორისტთან. ამის მიზანია საზოგადოების განწყობებზე ზემოქმედება“, – აღნიშნავს დისკუსიის მონაწილე (პროფესორი, ჟურნალისტი და პროდიუსერი).

დისკუსიის მონაწილეები ყურადღებას ამახვილებენ ირიბი ძალადობის ფორმების გამოყენებაზეც, რაც გულისხმობს მედიაში დასაქმებული ადამიანების შესახებ სოციალურ ქსელებში ჭორების, მოგონილი ამბების პერმანენტულად მიზანმიმართულად გავრცელებას და მადისკრედიტირებელი ფონის შექმნას. ამას კონკრეტული ზიანის მოტანა შეუძლია და, მისი „რბილი“ ეფექტის გამო, შესაძლოა რეაგირების გარეშეც კი დარჩეს. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ ჭორების გავრცელების სქემები არის აღწერილი ე.წ. „კრებსებში“ (ფარული მიყურადების შესახებ გავრცელებულ მასალებში).

რაოდენობრივ კვლევაში რესპონდენტების 64% მიიჩნევს, რომ მედიაში დასაქმებული პირების მეტი უსაფრთხოებისთვის საეთერო დრო

უნდა შეეზღუდოს მათ, ვინც ძალადობისკენ მოწოდებებს ახმოვანებს და სიძულვილის ენით საუბრობს. აღსანიშნავია, რომ რადიკალური ჯგუფებისთვის საეთერო დროის დათმობას (სიხშირის და მოცულობის გათვალისწინებით) შეუძლია ამ ჯგუფების გზავნილების ტირაჟირებას, ლეგიტიმაციას, კონსოლიდაციას და მნიშვნელობის წარმონეხასაც შეუწყოს ხელი⁴². მკვლევრის (გელაშვილი, 2020) აზრით, საქართველოში ზოგიერთი მედიასაშუალება „ულტრამემარჯვენე აქტორებს, მხარდაჭერის გამოხატვის მიზნით ან, პირიქით, დაპირისპირების გამოსახატად, გადაჭარბებულ ყურადღებას უთმობს“ (გვ.13). დისკუსიის მსვლელობისას განხილული იყო ამგვარი გაშუქების პრაქტიკა და მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ამ კუთხით მიდგომები ნამდვილად შეიცვლება, რადგან 5 ივლისამდე მოძალადეების გაშუქების სარედაქციო პოლიტიკა არასწორი იყო.

ონლაინგამოკითხვისას 59 %-მა აღნიშნა, რომ მედიაში დასაქმებული პირების მეტი უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია სოცქსელებში იმ მომხმარებლების გამოვლენა, რომლებიც ახალისებენ ჟურნალისტებისადმი ძალადობას (59%). ამ პრაქტიკაზე ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებიც მიანიშნებენ. დისკუსიისას გამოიკვეთა, რომ პოლარიზებულია ინტერნეტ-სივრცე და მედიაორგანიზაციებში ყოველდღიურად ავლენენ ტროლებს და ბოტებს. მონაწილეების აზრით, სოციალურ ქსელებში შექმნილი მეინსტრიმული ნარატივი გავლენას ახდენს არა მარტო ონლაინდისკუსიებზე, არამედ ფიზიკურ გარემოში არსებულ განწყობებზეც⁴³.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტები ხვდებიან, რომ მათ ტროლები და ბოტები ებრძვიან, ფსიქოლოგიურად მაინც უჭირთ ამასთან გამკლავება, რადგან ხშირად მათთან კომუნიკაციისას იკვეთება მუქარა, შანტაჟი: „როცა ეს „ვიდაც ტროლი“ გწერს, რომ სადარბაზოსთან დაგხვდება, მაინც გეშინია.

⁴² გელაშვილი თ., ქართული მედია და მედიაგენური ულტრამემარჯვენეები, პოლიტიკის დოკუმენტი No. 14, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივნისი 2020.

⁴³ Freedom House-ის 2020-ის ანგარიშით, მანამდე 2019 წლის ბოლოს Facebook-მა დახურა ასობით ქართული ანგარიში და გვერდი, რომლებიც პოზიციონირებდნენ, როგორც მედიასაშუალებები და ორგანიზაციები და აკრიტიკებდნენ ოპოზიციას და ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს. Facebook-მა გამოავლინა და ამაში აშხილა სარეკლამო კომპანიები და ქართული ოცნების ხელისუფლება (Freedom House, Freedom in the World, Country report – Georgia, 2020, <https://freedomhouse.org/country/georgia/freedom-world/2020> (last seen on Sept. 26, 2021).

უკვე შემზარავია იმის გააზრებაც კი, რომ არსებობენ ორგანიზაციები, რომელთაც დავალება აქვთ, რომ ჟურნალისტები გააშავონ, დაასპონსორონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც დაგვაზიანებს“ (ტელეკომპანია „ტე-პირველი“, ტოქ-შოუს წამყვანი). „ესაა 'ტროლების ომი', როცა კრიტიკული მასალის გამოქვეყნებისას ჟურნალისტი ემზადება ტროლების თავდასხმისთვის,“ - აღნიშნავს რეგიონული მედიის წარმომადგენელი.

დისკუსიის სხვა მონაწილეებმა ამ კონტექსტში ახსენეს მედიანგარემოში ახალი ტექნოლოგიების დანერგვით გამოწვეული გამოწვევები. გამოსავალზე საუბრისას, ერთ-ერთი მონაწილე ამ გამოწვევების პოლიტიკურ მდგენელზე მიანიშნებს: „პრობლემის მოგვარება მხოლოდ პოლიტიკური ცვლილებებითაა შესაძლებელი. ჩვენ ვცხოვრობთ ტოტალიტალურ სახელმწიფოში, რომელსაც ციფრულმა ტექნოლოგიებმა და ახალმა რესურსებმა მიზნების მიღწევა გაუმარტივა,“ (ტელეკომპანია „ფორმულა“, გადაცემის ავტორი და წამყვანი).

ონლაინგამოკითხვისას რესპონდენტებმა უპასუხეს კითხვას, „რა შეიძლება გააკეთოს მედიამ იმისთვის, რომ მედიაში დასაქმებული პირები ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უფრო უსაფრთხოდ იყვნენ?“. ამ კითხვაზე გამოკითხულთა 70%-მა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მედიამ უზრუნველყოს დაზარალებულების დროული სამართლებრივი მხარდაჭერა, ხოლო გამოკითხულთა 32% აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია დაზარალებულებისთვის ფსიქოლოგის დროული მხარდაჭერა. აღსანიშნავია, რომ დისკუსიისას რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ შანტაჟის მსხვერპლი იყო, მაგრამ სასამართლოში ჩივილი ვერ გაბედა.

შეჯამებისთვის: დისკუსიებმა და გამოკითხვის შედეგებმა დაადასტურა, რომ საქართველოში ჟურნალისტები წინასაარჩევნოდ განსაკუთრებით არიან ფიზიკური და ვერბალური ძალადობის რისკის ქვეშ. ძალადობის პირდაპირ და ირიბ ფორმებს მედიის წარმომადგენლები ძირითადად უკავშირებენ ანტიდასავლურად განწყობილი ჯგუფების და ხელისუფლების მიზანმიმართულ პოლიტიკას, რომლის მიზანია მედიის სტიგმატიზაცია, დემონიზაციის ეფექტის გამოყენება, მედიისგან მტრის ხატის შექმნა და მედიის მიმართ საზოგადოების ნდობის შემცირება. საქართველოში მედიის მიმართ ფიზიკური და ვერბალური ძალადობის მოლოდინი დიდია არჩევნების შემდეგაც.

3.1.4. რუსული მოდელი მედიაში, როგორც მაკროსაფრთხე

დემოკრატიის მშენებლობის გზაზე საქართველოში, მსგავსად სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისა, სისტემატურად ვლინდება რუსული პროპაგანდის ავთვისებიანი ბუნება და მავნებლური ზეგავლენა (malign influence). ეს ყველაფერი აზიანებს მედიაგარემოს და საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ განვითარებას. ხშირ შემთხვევაში დეზინფორმაცია შეფუთულია „მატრიოშკის“ ტექნიკით და ამიტომ, საფრთხეების იდენტიფიცირება ვერ ხერხდება ან დაგვიანებულია. მოსახლეობის მხრიდან პროპაგანდისტული ინფორმაციის მიმდებლობა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს იმ შემთხვევაში, თუ საფრთხეები, ერთი შეხედვით, „სასარგებლო“ ეთნო-კულტურული და ისტორიული კონტექსტის შესაბამისადაა შეფუთული და მოწოდებული.

აღსანიშნავია, რომ სამივე ფოკუს-ჯგუფში, სხვადასხვა საფრთხეზე საუბრისას, დისკუსიას თან დაჰყვება მინიშნებები რუსულ პროპაგანდასა და „რუსეთად გადაქცევის“ საფრთხეზე. მონაწილეები საქართველოში შექმნილ საგანგაშო ვითარებას და მედიაგარემოს არაერთგზის ადარებენ რუსეთში, ბელორუსში და სხვა ავტორიტარულ ქვეყნებში არსებულ პრაქტიკას და ჟურნალისტებისადმი დამოკიდებულებას. მათი შეფასებით, მედიაზე ზეწოლის რუსეთში არსებული მძიმე გამოცდილება 2021 წლის არჩევნების წინა პერიოდში საკუთარ თავზე პირდაპირი მნიშვნელობით გამოსცადეს. ეს აღქმულია, როგორც ქვეყანაში დემოკრატიის, თავისუფალი სიტყვის და ყველა დემოკრატიული ფასეულობის წინააღმდეგ ბრძოლა. „კრიტიკული ტელევიზიები თუ გაჟღერდებით, ხვალ ეს ქვეყანა გახდება რუსეთი,“ - ამბობს დისკუსიის მონაწილე (ტელეკომპანია „პირველი,“ ტოქ-შოუს წამყვანი).

მედიაში რუსული მოდელის დამკვიდრების ტენდენციაზე ფოკუს-ჯგუფების გზამკვლევის პირველად კითხვებში არაფერი იყო ნათქვამი. ეს კონტექსტი პატერნული კოდების დამუშავებისას გამოიკვეთა და სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისას, თავად მონაწილეების მხრიდან გახდა ნ-ჯერ აქტუალური. 5 ივლისის ქრონიკა მონაწილეებს შეახსენებს იმას, თუ როგორ ექცვიან რუსეთში ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ მედიას. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მედიაგარემოში იგრძნობა რუსეთის „უხილავი ხელი“, რომელიც ჟურნალისტებში აჩენს შიშს და დაუცველობას. ჟურნალისტები

წუხილს გამოთქვამენ იმაზე, რომ ამ საფრთხეს სათანადოდ ვერ აღიქვამენ საერთაშორისო ორგანიზაციებში. „სამწუხაროდ, დასავლეთი ბოლომდე ვერ შეჯერდა იმ პოზიციაზე, რომ აქ თანდათან რუსეთის გუბერნია ფორმირდება. რასაც ჩვენ ვხედავთ, ეს არის წითელი ტერორი,“ - აღნიშნავს ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ტოქ-შოუს წამყვანი.

შესაძლოა, სწორედ რუსული მოდელის მედიაში დამკვიდრების შიში იწვევდეს კვლევაში მონაწილეთა მხრიდან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორების მიმართ უფრო მკაფიო რეაგირების მოლოდინსაც, რადგან დისკუსიისას სწორედ რუსეთის ხსენება ავითარებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის, მათი ინფორმირების და გაკლენის გაზრდის აუცილებლობის კონტექსტს და წუხილს მათ პასიურობაზე. არაა შემთხვევითი, რომ ყველაზე მეტი საფრთხის მოლოდინი ონლაინგამოკითხვაშიც სწორედ „ანტიდასავლურად განწყობილი ჯგუფების“ მხრიდანაა (იხ. დიაგრამა N7). ამრიგად, „რუსეთად გადაქცევის“ შიში შეგვიძლია მაკროსაფრთხედ მივიჩნიოთ.

შეჯამებისთვის: საქართველოში შექმნილი საგანგაშო მედიკალიზაციაში დასაქმებულებს რუსეთში, ბელორუსში და ზოგადად, ავტორიტარულ ქვეყნებში ჟურნალისტებისადმი დამოკიდებულებას ახსენებს. კვლევამ გამოკვეთა, რომ მედიაზე წნეხის ტაქტიკა და სისტემური მიდგომები (მათ შორის, საფრთხეების მიმართ დესენსიტიზაცია, რეაგირების ფრაგმენტულობა ან უმოქმედობა) შესაძლოა მივიჩნიოთ რუსული პროპაგანდის ავთენტიკური ბუნების მავნე ზეგავლენად (malign influence). აუცილებელია ამ მიმართულებით ფოკუსირებული კვლევების ჩატარება.

3.2. მხარდამჭერი მედიკალიზაცია და სოლიდარობა

გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში საინტერესო ფენომენია მოქალაქეების ჩართულობის გააქტიურება კრიზისულ პერიოდებში (მაგ: პანდემია, სტიქიური უბედურებები და სხვ). ამგვარი ჩართულობა მოიცავს სოლიდარობისა და სხვა მხარდამჭერ აქტივობებში მონაწილეობას, რაც ხელს უწყობს სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებას, მოქალაქის პასუხისმგებლობის გაცნობიერებას და პოლარიზაციის შემცირებას. ეს იწვევს ფრაგმენტულ, მაგრამ მაინც

პოზიტიურ ეფექტს დემოკრატიზაციის პროცესზე. კრიზისების პერიოდში, მედიასაფრთხეების გამოვლენისას, ჟურნალისტთა კოლექტიურ ორგანიზებას და სოლიდარობის ჩვენებას ასევე შეუძლია მედიაგარემოში პოლარიზაციის შემცირება და მედიაინსტიტუტების სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერება.

მედიის წარმომადგენლებმა გამოხატეს აზრი კრიზისის დროს თავად მედიის მხრიდან შემუშავებულ/შესამუშავებელ უსაფრთხოების მექანიზმებთან დაკავშირებით. რესპონდენტების 69 %-ის მიერ მნიშვნელოვან მექანიზმად დასახელებულია ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიისა და ჟურნალისტებისადმი მეტი მხარდაჭერის და სოლიდარობის გამოხატვა.

ფოკუს-ჯგუფებში გამოიკვეთა როგორც სოლიდარობის აქციებისა და მხარდაჭერი აქტივობების პოზიტიური ეფექტის მოლოდინი, ასევე ამგვარი აქტივობების ეფექტიანობისადმი სკეპტიციზმი, თუმცა საბოლოო ჯამში, სოლიდარობის დემონსტრირება შეფასდა, როგორც მედიაგარემოს გაუმჯობესების მნიშვნელოვანი მექანიზმი. ცხრილი N1 აჩვენებს დისკუსიისას გამოკვეთილ სამ კონტექსტს:

ცხრილი N1: სოლიდარობის თემის კონტექსტი

კონტექსტი	სოლიდარობის დემონსტრირების შეფასება
I ფოკუს-ჯგუფში	სოლიდარობის დემონსტრირების დისკუსია განვითარდა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის კონტექსტში და სოლიდარობა დადებითი ეფექტის დისკურსში წარმოინდა.
II ფოკუს-ჯგუფში	დისკუსია მედიაორგანიზაციებში არსებული მდგომარეობის და სოლიდარობის მზაობის განხილვით წარიმართა და უფრო პესიმისტური პროგნოზი დაიხატა.
III ფოკუს-ჯგუფში	მედიაორგანიზაციებს შორის სოლიდარობაზე საუბრისას, გამოიკვეთა პოლარიზაციისა და მედიაორგანიზაციების პარტიული მიკროძოვლებობის კონტექსტი, როგორც სოლიდარობისა და მედიაგარემოს გაუმჯობესების ხელისშემშლელი ფაქტორი.

საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ჟურნალისტებისადმი გამოხატულ მხარდაჭერასა და მედიაგარემოს გაუმჯობესების საკითხში

ჩართულობას მონაწილეები ცალსახად პოზიტიურ ფაქტორად აღიქვამენ. ონლაინგამოკითხვისას რესპონდენტებმა უპასუხეს კითხვას – „რა შეიძლება გააკეთოს მედიამ იმისთვის, რომ მედიაში დასაქმებული პირები იყვნენ უფრო უსაფრთხოდ (ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად)?“. ამ კითხვაზე შემოთავაზებული იყო პასუხები და რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის მონიშვნა. გამოკითხულთა ყველაზე მეტმა რაოდენობამ (N=136) – 74%-მა – აირჩია პასუხი - „მედიამ აქტიურად ითანამშრომლოს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან“.

ფოკუს-ჯგუფებში გამოიკვეთა, თუ რა კონტექსტში ხედავენ მედიის წარმომადგენლები საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას. მონაწილეების აზრით, ეს თანამშრომლობა უფრო ინტენსიური და თანმიმდევრული უნდა გახდეს. ნაწილს მიაჩნია, რომ 5 ივლისის მოვლენების შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა არ იყო საკმარისი და ამის მიზეზი ისაა, რომ ვერ მოხერხდა მათთვის ინფორმაციის სათანადოდ მიწოდება. მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეს მხარდაჭერა საკმარისი იყო. ორივე შემთხვევაში, ჟურნალისტები გამოკვეთენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის აუცილებლობას.

აღსანიშნავია, რომ 5-6 ივლისის მედიის დარბევის ფაქტზე არაერთმა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოხატა შეშფოთება. ანგარიშში „მედიის პოგრომი, 5-6 ივლისი, თბილისი, 2021“, რომელიც მოამზადა კოალიციამ „მედიის ადვოკატებისთვის“, აღნიშნულია, რომ „საერთაშორისო პარტნიორები მოუწოდებდნენ საქართველოს ხელისუფლებას, საჯაროდ დაეგმო ძალადობა და დაესაჯა ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობრივი ქმედების ჩამდენი ყველა პირი“⁴⁴. ანგარიშის მიხედვით, ერთობლივი განცხადება გაავრცელეს ელჩებმა, მომხდარს გამოეხმაურნენ პარტნიორი ქვეყნების საგარეო უწყებები, ევროპარლამენტარები, ეუთო/ოდირი, ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“, გაეროს ადამიანთა უფლებათა ოფისი, ორგანიზაცია Amnesty International და სხვ.

⁴⁴ მედიის პოგრომი, 5-6 ივლისი, თბილისი, 2021. კოალიცია მედიის ადვოკატებისთვის, https://osgf.ge/wp-content/uploads/2021/09/5_6_IVLISI_DOCU_GEO_19_09.pdf (ბოლო ნახვა 15 ოქტომბერი, 2021)

მიუხედავად ამისა, ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებმა აჩვენა, რომ ჟურნალისტები თავს ამ კონტექსტში დაუცველად და მიტოვებულად გრძნობენ, არ აქვთ საკმარისი კომუნიკაცია და თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მონაწილეების აზრით და მოლოდინით, უფრო ინტენსიურ და არაფრაგმენტულ თანამშრომლობას, შესაძლოა, ჰქონდეს პრევენციული ხასიათი და, საერთაშორისო პარტნიორების სისტემატური ინფორმირების და დროული რეაგირების შემთხვევაში, კრიზისის თავიდან არიდებაც შესაძლებელია.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის და მათი ჩართულობის მექანიზმებზე საუბრისას, ერთ-ერთმა მონაწილემ სოციალური ქსელების გამოყენებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ვინაიდან საქართველოში ყველაზე პოპულარული ქსელი Facebook-ია, ჟურნალისტებმა მეტად უნდა გამოიყენონ მაგ., „ტვიტერი“, რომელიც პოპულარულია დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში.

5 ივლისის დარბევის შემდეგ თავად მედიამ უპრეცედენტო ურთიერთ-სოლიდარობა გამოავლინა. სწორედ ამაში ხედავენ რესურსს დისკუსიის მონაწილეები და აცხადებენ, რომ სოლიდარობის დემონსტრირებას, არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, სისტემური ხასიათი უნდა მიეცეს.

დისკუსიისას სოლიდარობის ეფექტის და მნიშვნელობის განხილვა 5 ივლისის მოვლენების და გარდაცვლილი ოპერატორის - ლექსო ლაშქარავას გარშემო წარიმართა, რადგან სწორედ ამ ამბების გამო დაფიქსირდა ყველაზე დიდი მედიასოლიდარობა. დისკუსიის მონაწილეებს მოსწონთ სოლიდარობის ჩვენების რეგულარული დემონსტრირების იდეა, თუმცა მეორე სადისკუსიო ჯგუფში გამოითქვა საწინააღმდეგო მოსაზრება ჟურნალისტების სოლიდარობის ქსელის ან ამგვარი აქტივობების ეფექტურობაზე. ამის ხელშემშლელ ფაქტორად სახელდება „მედიასთან მედიით დაპირისპირება“ და თავად მედიაორგანიზაციებს შორის არსებული პოლარიზაცია. დისკუსიის შედეგად, უმრავლესობამ მაინც მოიწონა სოლიდარობის შეხვედრების და მხარდაჭერი ქსელის გაძლიერების იდეა. გამოითქვა ინიციატივა, რომ მომზადდეს გადაცემები, რომლებშიც მედიის ერთიანობა გამოჩნდება. „ეს უნდა მოხდეს რეგულარულად, რომ ხალხმა

დაინახოს მედიის ერთიანობა“, - აღნიშნავს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემის ავტორი და წამყვანი.

სოლიდარობის აქციებში თავად მედიორგანიზაციების ჩართულობის სკეპტიციზმის საილუსტრაციოდ, მონაწილეებმა გაიხსენეს, რომ კრიზისის პერიოდში, 5 ივლისის მოვლენების შედეგად, სოციალურ ქსელ Facebook-ში შეიქმნა ჟურნალისტების სოლიდარობის ჯგუფი, რომელიც კოორდინირებას უწევდა ჟურნალისტების ერთობლივ აქტივობებს, განცხადებებს. ეს ჯგუფი იყო ადგილობრივი მედიასოლიდარობის ჩვენების უპრეცედენტო მაგალითი, რომელიც არ შემოიფარგლა მხოლოდ სოციალურ ქსელებში გამოხატული თანადგომით, ე.წ. კლიკტივიზმით (clicktivism) ან სლექტივიზმით (slacktivism)⁴⁵ და ვირტუალურიდან რეალურ გარემოში გადმოიტანა აქტივიზმი (მხარდამჭერი განცხადებების გაერცელება, სოლიდარობის აქციების ორგანიზება, სოლიდარობის კამპანიის დაგეგმვა და სხვ.). ამ ჯგუფის (სახელწოდებით - მედიის საორგანიზაციო ჯგუფი #ლექსოსთვის) ე.წ. ადმინები ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები იყვნენ.

„ჯგუფის მიზანი იყო, დაენახათ მედიის სოლიდარობა და ის, რომ რაღაც საკითხებში ვთანხმდებით. გაჩნდა იდეა, რომ გაგვეკეთებინა ერთი ჯგუფი, შეგვემუშავებინა საერთო წერილი და გაგვეზახუნა დიპლომატიური კორპუსისთვის. თავიდან ამ წერილზე თითქმის ყველა მედიიდან იყო ხელმომწერი, მაგრამ იმავე დღეს, როცა აქციის ჩატარების იდეა გაჩნდა, ბზარი გამოიკვეთა და ნელ-ნელა უკვე დიდი ძალისხმევა მჭირდებოდა, რომ მხარდაჭერა მიმეღო, მაგალითად, პროკურატურაში შესატან განცხადებაზე, შსს-სთან გასამართ მდუმარე აქციაზე და ა.შ.“, - აღნიშნავს დისკუსიის მონაწილე (ტელეკომპანია „მთავარი“, გადაცემის წამყვანი და ჟურნალისტი).

ფოკუს-ჯგუფებში გამოიკვეთა, რომ მედიის პარტიული ინტერესები აფერხებს ჟურნალისტების პროფესიული სოლიდარობის ჩვენებას, რომელიც, პოლარიზაციის პირობებში ფრაგმენტული ხდება. ჟურნალისტები თავს იკავებენ სოლიდარობის გამოხატვისგან სამსახურიდან გაშვების შიშის გამოც.

⁴¹ ტერმინების განმარტება უკავშირდება სოციალურ ქსელებში გამოვლენილ აქტივიზმსა და მხარდაჭერას;

შეჯამებისთვის: საქართველოში მხარდამჭერი მედიაგარემოსა და სოლიდარობის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მეტი ჩართულობა და მათი სისტემატური ინფორმირება მედიაგარემოში არსებულ საფრთხეებზე. დისკუსიამ და გამოკითხვის შედეგებმა დაადასტურა, რომ თავად მედიაორგანიზაციებს აქვთ რესურსი, რომ რიგ საკითხებზე ღიად გამოხატონ სოლიდარობა, თუმცა პოლარიზაციის პირობებში ეს მხარდაჭერა ფრაგმენტულია. საქართველოში მედიაში სოლიდარობის დემონსტრირების მაგალითები შეფასდა იმ მექანიზმად, რომელსაც შეუძლია მედიაგარემოს პოზიტიური კუთხით ტრანსფორმაცია.

3.3. უსაფრთხო მედიაგარემო: განათლება და კვლევების ფოკუსი

განათლებული და კარგად ინფორმირებული მოქალაქე დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტია. მედია კი მთელი სიცოცხლის მანძილზე მონაწილეობს მოქალაქის განათლებაში. როგორც ჰოველსი (2001) აღნიშნავს, მედია, განათლება და დემოკრატია ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია და ჰგავს სამკუთხედს სადაც ყოველი „ფერდის“ გაძლიერება ზეგავლენას ახდენს დანარჩენ ორზე და პირიქით⁴⁶.

მნიშვნელოვანია თავად მედიაში დასაქმებულების განათლება და კომპეტენციები იმისთვის, რომ ისინი დაცულები იყვნენ სხვადასხვა საფრთხეებისგან. ფოკუს-ჯგუფების დისკუსია დაემთხვა იმ პერიოდს, როცა მედიისთვის ხელმისაწვდომი გახდა შესაძლო ფარული მიყურადების და თვალთვალის ძალიან დიდი მოცულობის ფაილები, რომლებშიც ჟურნალისტური საქმიანობის კონტროლის სურვილი იკვეთება. სწორედ ასეთ დროს, დისკუსიის მონაწილეების აზრით, მნიშვნელოვანია ჟურნალისტებს ჰქონდეთ კომპეტენცია ფარული ჩანაწერების გამოყენების რისკების შესახებ, რომ დაუცველები არ აღმოჩნდნენ. ამ გამოწვევის წინაშე განსაკუთრებით არიან დამწყები და გამოუცდელი ჟურნალისტები. „შესაძლოა ასეთი ჩანაწერების აქტივისტებისთვის გაგზავნა სატყუარაც იყოს. მეტი სიფრთხილე მართებს ყველას,“ - აღნიშნავს ტელეკომპანია „მესტროს“ წარმომადგენელი.

⁴⁶ Howells, R. (2001). Media, education and democracy. *European Review*, 9(2), 159-168

დისკუსიის მონაწილეები მიანიშნებენ იმ საერთაშორისო ვალდებულებებზე, რომლებიც საქართველოს აქვს აღებული ჟურნალისტების დაცვასთან დაკავშირებით და ჟურნალისტებს ამახვილებენ იმაზე, რომ, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, აუცილებელია ძალადობის ფაქტების შესახებ მონაცემების შეგროვება და მონიტორინგის გაძლიერება.

„საერთაშორისო გაიდლაინებში არის მითითებები, თუ როგორ უნდა მოხდეს ჟურნალისტებზე ძალადობის პრევენცია, როგორ გაშუქდეს აქციები, როგორ უნდა მოიქცეს ჟურნალისტი დემონსტრაციის დროს, როგორ უნდა დაიცვას თავი და ასევე, როგორ უნდა განიხილოს ეს საკითხები სასამართლომ. სხვათა შორის, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ტრენინგები სჭირდებათ მოსამართლეებსაც“ - აღნიშნავს ტელეკომპანია „მთავარის“ ჟურნალისტი.

ჟურნალისტების ონლაინგამოკითხვის მიხედვით, მედიაში დასაქმებული პირების 39% მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების თემებზე (კრიზისების და დემონსტრაციების გაშუქება) ტრენინგების ჩატარება მნიშვნელოვანი მექანიზმია უსაფრთხო მედიაგარემოს შექმნისთვის. ჟურნალისტები მიანიშნებენ განათლების პროცესში იურისტების ჩართულობასა და რედაქციებში სამართლებრივი კუთხით კონსულტაციების აუცილებლობაზეც.

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის მონაწილეები თანხმდებიან, რომ გამოცდილების და ცოდნის გაზიარება ამ თემებზე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ახალბედა ჟურნალისტების ჩართულობით. ამ ინიციატივას დაეთანხმნენ დისკუსიაში მონაწილე დამწყები ჟურნალისტები. გამოცდილმა ჟურნალისტებმა კი მათთვის ცოდნის გაზიარების მზაობა დააფიქსირეს.

დისკუსიისას გამოიკვეთა აზრი, რომ მედიისადმი საზოგადოების ნდობის გასაზრდელად მნიშვნელოვანი მექანიზმია აუდიტორიასთან პირისპირ კომუნიკაცია და მედიის (განსაკუთრებით კრიტიკული მედიის) როლსა და მნიშვნელობაზე საუბარი. დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, ასეთ კომუნიკაციას შედეგი მოაქვს. ჟურნალისტები აუდიტორიასთან უშუალო (პირისპირ) კომუნიკაციის მნიშვნელობაზე საუბრისას აღნიშნავენ იმასაც, რომ სამთავრობო და კრიტიკულ მედიაში მომუშავე ადამიანებს ერთმანეთთან პროფესიული კომუნიკაციის რესურსი აქვთ.

შეჯამებისთვის: კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოში მედიაგარემოს გაუმჯობესება შეუძლია მედიაორგანიზაციებში ჟურნალისტების და პროდიუსერების კომპეტენციების გაძლიერებას. ასევე მნიშვნელოვანია მედიის აუდიტორიის ცნობიერების ამაღლება კრიტიკული მედიის როლის და საჭიროების შესახებ. დისკუსიებმა აჩვენა, რომ ამ კუთხით, სასარგებლო და მიზანშეწონილია აუდიტორიასთან პირისპირ კომუნიკაცია და შესვედრები.

დასკვნა

საქართველოსთვის, როგორც გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნისთვის, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მედიის, როგორც ინსტიტუციის გაძლიერება და მისი სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება. კვლევამ დაადასტურა, რომ მედიაგარემოში არსებული გამოწვევები განსაკუთრებით აქტიურდება წინასაარჩევნო პერიოდში.

კვლევამ გამოავლინა ის მაკრო და მიკრო მედიასაფრთხეები, რომლებიც ციფრულ და ფიზიკურ მედიაგარემოში აქტიურდება არჩევნებამდე და მის შემდეგ. 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს არსებულ მედიაგარემოზე დაკვირვება წარმოებდა მედიის წარმომადგენლების თვალთდანახულ რეალობაზე დაყრდნობით და გამოიკვეთა, რომ, წინა წლებთან შედარებით, მედიაგარემო უარესობისკენ შეიცვალა. კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოში მედიაგარემოზე და ჟურნალისტების უსაფრთხოებაზე მეტწილად ნეგატიურად მოქმედებს პოლიტიკური პოლარიზაცია და კრიზისები, ხოლო პოლიტიკური გარემოს ცვლილება შეიძლება პოზიტიურად აისახოს მედიაგარემოზე. აქვე გამოიკვეთა ისიც, რომ თავის მხრივ, მედიასაც შეუძლია პოლარიზაციის ეფექტების შემცირება ან გაძლიერება.

კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოში მედიასაფრთხეები აძლიერებს თვითცენზურას და შიშს, ამცირებს მედიის სანდოობას და ასუსტებს მედი-

ანსტიტუციის სიცოცხლისუნარიანობას. კვლევამ გამოკვეთა პოლიტიკური პოლარიზაციის დამატებითი ეფექტი - კრიტიკულ მედიასთან ბრძოლის ახალი ტაქტიკა: „გამოიყენე მედია ჟურნალისტის წინააღმდეგ“, რომელიც იწვევს თავად მედიასაშუალებებში პოლარიზაციას, ჟურნალისტების ერთმანეთის წინააღმდეგ წაქეზებას და მედიის ველზე ამ მაკროსაფრთხის გადმოტანას. ამ კუთხით, პოლარიზაცია საქართველოში არის სოლიდარობის ხელისშემშლელი ფაქტორი. ამასთან, პოლარიზაციას აქვს ე.წ. დემონიზაციის ეფექტიც, რომელიც ვლინდება პოლიტიკოსების მხრიდან ჟურნალისტების სტიგმატიზაციაში, პარტიული იარაღების მიკერებასა და დისკრედიტაციის მცდელობებში, რაც, საბოლოო ჯამში, მედიას აზიანებს.

კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოში მმართველი პოლიტიკური ძალა იყენებს ყველა იმ კომპონენტს და მექანიზმს, რომელიც ქმნის და აძლიერებს ჟურნალისტების თვითცენზურას. ეს მექანიზმებია: შიში, დანაშაულის დაუსჯელობა, დაცინვა, დისკრედიტაცია, დაუცველობა, დეზინფორმაციის გავრცელება და სხვ. ჟურნალისტების თვითცენზურის გაძლიერება ქმნის ცენზურის უხილავ ველს რედაქციებში, როცა, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ჟურნალისტი თავს არიდებს კონკრეტული თემების, წყაროების ან ფაქტების გაშუქებას. კრიტიკულ კითხვებს კი ანაცვლებს სიჩუმე.

კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოში მედიის წინააღმდეგ წარმოებული სისტემური, დაგეგმილი ნეგატიური კამპანიები ხშირ შემთხვევაში მუშაობს ისე, რომ საფრთხეები უხილავი, „რბილი ძალის“ მქონე ან კარგად შეფუთულია. ამის შედეგად, მათზე რეაგირება დაგვიანებულია ან არაეფექტური. ამგვარი მედიასაფრთხეები ვლინდება როგორც ფიზიკურ, ასევე ციფრულ მედიაგარემოში. იმისდა მიუხედავად, რომ ამ საფრთხეების კრიზისულ პერიოდში აქტივაციისას, მედიის და საზოგადოების რეაგირება მყისიერია, გრძელვადიან პერსპექტივაში მათ გასანეიტრალებლად მსგავსი ფრაგმენტული მხარდაჭერა და სოლიდარობა არასაკმარისია. გამოიკვეთა, რომ სისტემური სოლიდარობის აქციები და მხარდამჭერი აქტივობები, ამ პროცესში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ჩართულობა, აუდიტორიასთან პირისპირ კომუნიკაცია და კრიტიკული მედიის როლსა და მნიშვნელობაზე საუბარი - მედიაგარემოს გაუმჯობესების მნიშვნელოვანი მექანიზმებია.

საყურადღებოა, რომ საქართველოში მედიაში დასაქმებულები მთავარ საფრთხედ ანტიდასავლურად განწყობილ ჯგუფებს მიიჩნევენ და საქართველოში შექმნილი საგანგაშო მედიაგარემო მათ რუსეთსა და ბელორუსიაში ჟურნალისტებისადმი დამოკიდებულებას ახსენებს. ზემოთ ხსენებული ტაქტიკა და სისტემური მიდგომები (მათ შორის, საფრთხეების მიმართ დესენსიტიზაცია და უმოქმედობა) ასევე შესაძლოა მივიჩნიოთ რუსული პროპაგანდის ავთვისებიანი ბუნების მავნე ეფექტად. სწორედ ამიტომ, ამ საკითხის ასეთ ჭრილში კვლევა სამომავლო პერსპექტივად გვესახება.

კვლევამ დაადასტურა, რომ ის, თუ რამდენად უსაფრთხოდ გრძნობენ ჟურნალისტები თავს პროფესიული საქმიანობის შესრულებისას - დემოკრატიის ხარისხის შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია. გარდამავალი დემოკრატიის პირობებში კი სანდო და სიცოცხლისუნარიანი მედია რჩება დემოკრატიის გაძლიერების უმნიშვნელოვანეს წყაროდ.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები სხვადასხვა ჩართული მხარისთვის. ამ რეკომენდაციების განხორციელება ხელს შეუწყობს მხარდამჭერი მედიაგარემოს შექმნას, სოლიდარობის წახალისებას და კოორდინაციის გაუმჯობესებას სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს შორის, როგორც კრიზისების დროს, ასევე მის შემდეგ. რეკომენდაციების განხორციელები-სას აუცილებელია დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა, რომელიც შეიძლება შედგეს საერთო პლატფორმის გამოყენებით.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოში გამოვლენილ მიკრო და მაკროსაფრთხეებთან მიმართებით აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

ჩართული მხარეები: მედიასექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები

რეკომენდაციები: საფრთხეებთან გამკლავებისთვის ინსტიტუციური მექანიზმის შექმნა. მაგალითად: მედიასა და პოლიტიკოსებს შორის კომუნიკაცია უნდა შედგეს არა მხოლოდ ვებზე/რეპორტირებისას, არამედ ინსტი-

ტუციურ დონეზე. მაგალითად, საქართველოს პარლამენტში ოპოზიციის ინიციატივით შესაძლებელია შეიქმნას კომიტეტი ან სამუშაო ჯგუფი, რომელიც მედიის უფლებებზე სისტემატურად იმუშავებს. ამ კუთხით გასათვალისწინებელია საერთაშორისო პრაქტიკა. მნიშვნელოვანია, დაიწყოს დისკუსია მედიაომბუდსმენის, როგორც მხარდამჭერი ინსტიტუციის ჩამოყალიბების პროცესზეც.

ჩართული მხარეები: მედიასპიკერები (მათ შორის პოლიტიკოსები, არასამთავრობო სექტორი).

რეკომენდაციები: პოლარიზაციის შედეგად მედიაგარემოში წარმოქმნილ მიკროსაფრთხეებზე მიზნობრივი რეაგირება. მაგალითად, ჟურნალისტებზე ფიზიკური და ვერბალური ძალადობის წახალისების საპირისპიროდ, ძალადობის პრევენციისთვის, აუცილებელია მედიის წარმომადგენლების, პოლიტიკოსების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების მხრიდან სისტემატურად ხდებოდეს ჟურნალისტებზე ძალადობის დაგმობა, მედიის მხარდაჭერის დემონსტრირება, დანაშაულის გამომიხსნის და დანაშაულებების დასჯისკენ მოწოდება.

ჩართული მხარეები: მედიასექტორი, მედიააუდიტორია

რეკომენდაციები: მხარდამჭერი მექანიზმების ამოქმედება. მაგალითად, კრიზისის შექმნამდე, პრევენციულად, სოლიდარობის ქსელის შექმნა. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია იმის დაშვების პირობებში, რომ შესაძლოა „5 ივლისის სცენარი“ განმეორდეს სხვადასხვა კონტექსტსა და კრიზისთან მიმართებით (არა მხოლოდ სექსუალური უმცირესობების კონტექსტში გამართულ კონტრაქციასთან, არამედ რადიკალური ჯგუფების მიერ ეთნიკურ, რელიგიურ, პოლიტიკურ უმცირესობებსა და სხვა მოწყველად ჯგუფებთან მიმართებითაც). ამისთვის, აუცილებელია:

- საზოგადოებაში მედიის სანდოობის გაზრდა და თავად მედიააუდიტორიაში მხარდამჭერი გარემოს შექმნა. ეს შესაძლებელია არა მარტო მედიაპლატფორმებით, არამედ პირისპირ კომუნიკაციის გზით;

- მედიის ერთგული აუდიტორიის ჩართულობის გაზრდა და სოლიდარობის მიკრომომენტების შექმნა ციფრულ და ფიზიკურ სივრცეში; მაგალითად, სოციალურ ქსელებში გამოხატული ემოციური და ტექსტუალური მხარდაჭერის გაზრდა, სხვა პოზიტიური ჩართულობის წახალისება და ფიზიკურ გარემოში გადატანა. ეს შეიძლება იყოს ჟურნალისტური პროექტების (განსაკუთრებით საგამოძიებო მასალების შექმნის) თუნდაც სიმბოლური თანადაფინანსება, ე.წ. "ქრულფაუნდინგის" გზით;
- მედიასაფრთხეების თემის მუდმივი აქტუალიზაცია თავად მედიის მხრიდან;
- მედიაპროგრამებში სოლიდარობის წახალისება და ჩვენება: სოლიდარობის შეხვედრების ჩატარება და გაშუქება, გადაცემების, სიუჟეტების მომზადება (სისტემატურად), რომლებშიც განიხილება მედიის წინაშე არსებული საფრთხეები, გამოწვევები და გამოსავლის გზები;
- მედიის წარმომადგენლებს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერება, სოლიდარობის მიკრომომენტების შექმნა და იზოლაციის შეგრძნების შემცირება. ეს სტრესთან მედეგობის ეფექტური რესურსიც იქნება და პოლარიზაციის ეფექტსაც შეამცირებს.

ჩართული მხარეები: მედიასექტორი, მედიაგანათლების და არასამთავრობო სექტორი

რეკომენდაციები: საზოგადოების ცნობიერების ამაღლება თავისუფალი, პლურალისტური და მრავალფეროვანი მედიის მნიშვნელობაზე. მაგალითად, საჭიროა აუდიტორიისთვის იმის ახსნა, თუ რატომ არის ჟურნალისტის საქმიანობა მნიშვნელოვანი და რა კავშირშია ერთმანეთთან სხვადასხვა საფრთხის შესახებ საზოგადოების მეტი ინფორმირებულობა (კორუფცია, პანდემია, ნეპოტიზმი, ქსენოფობია) და თითოეული ადამიანის დაცულობა.

ჩართული მხარეები: მედიაციის სპეციალისტები, იურისტები, მედიაციის სპეციალისტი, მედიაციის სპეციალისტების სექტორი

რეკომენდაციები: ჟურნალისტების და მედიაციის სპეციალისტების სტრესმედეგობის (resilience) გაძლიერება და ისეთი მხარდაჭერი სისტემების შექმნა, რომელიც აქტიურდება კრიზისების დროს. ამისთვის საჭიროა:

- ჟურნალისტების დახმარების და დროული რეაგირების მექანიზმის დანერგვა, როგორც სამართლებრივი, ასევე ფსიქოლოგიური დახმარების კუთხით;
- ტრენინგებით ჟურნალისტების ფსიქოლოგიური რესურსებისა და სტრესთან მედეგობის (resilience) გაძლიერება. ჟურნალისტების გადამზადება ტრავმული მოვლენების რეპორტირების (trauma reporting) მიმართულებით;
- მედიაციის სპეციალისტების მომზადება კრიზისების მენეჯმენტში. მაგალითად, ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ რეალისტური გეგმა იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებენ კრიზისებისა და უბედური მოვლენების გაშუქებისას.
- მხარდაჭერი სისტემების შექმნისთვის მედიამ სწორედ არაკრიზისულ (მათ შორის არაწინასწარჩვენო) პერიოდში უნდა გააძლიეროს რესურსები და შექმნას პოზიტიური კომუნიკაციების და სტრესთან მედეგობის რეზერვუარი. ამას ხელი უნდა შეუწყოს მედიის შიგნით და ასევე გარედან მხარდაჭერი ქსელის შექმნამ და პროსოციალური მედიის მშენებლობამ, რომელიც გააძლიერებს პოზიტიურ კონტექსტს თავად ჟურნალისტებისთვის (ან მათი მხრიდან). ეს ეფექტი შესაძლებელია მივიღოთ ემპათიის, გამხნეების, თანაგრძობის, მზრუნველობის, სოლიდარობის, უსაფრთხოების, სიმშვიდის, პროფესიული ინსპირაციის და მაძლიერების (აუდიტორიის თუ თავად მედიის მხრიდან) დემონსტრირების გზით.

ჩართული მხარეები: აკადემიური წრეები, საგანმანათლებლო და არასამთავრობო სექტორი

რეკომენდაციები: რუსული პროპანდის ავთვისებიანი ბუნებისა და მავნებლური ზეგავლენიდან (malign influence) მომდინარე იმ საფრთხეების მუდმი-

ვი იდენტიფიცირება, რომლებიც უხილავია და ამის გამო მათზე რეაგირება არ არის შესაბამისი. მნიშვნელოვანია ამ საკითხებზე დისკუსია მედიის წარმომადგენლებისა და აკადემიური წრეების ჩართულობით, კვლევების და ტრენინგების ჩატარება.

საერთაშორისო გამოცდილებისა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, მიკრო და მაკრო მედიასაფრთხეების სისტემატური მონიტორინგი, მონაცემების შეგროვება და ანალიზი.

დაბოლოს, კვლევის შედეგებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, საქართველოში მედიაგარემოს გაუმჯობესებისა და არსებულ გამოწვევებთან გამკლავებისთვის მნიშვნელოვანია ზემოთ ხსენებული აქტორების ურთიერთთანამშრომლობის წახალისება. მათი მხრიდან ერთიან პოლიტიკაზე შეთანხმება და თანმიმდევრული მუშაობა ხელს შეუწყობს მხარდამჭერი მედიაგარემოს ჩამოყალიბებას და შედეგად, კონსოლიდირებული დემოკრატიის გაძლიერებას.

ბიბლიოგრაფია

Bishop, Bill (2008). *The Big Sort: Why the Clustering of Like-Minded America Is Tearing Us Apart*. New York: Houghton Mifflin Harcourt.

Carothers T, O'Donohue A: *Democracies Divided: The Global Challenge of Political Polarization*. Brookings Institution Press; 2019.

DiMaggio, P., Evans, J., Bryson, B., 1996. Have Americans' social attitudes become more polarized? *Am. J. Sociol.* 102, 690–755.

Dixit K. Avinash, Weibull W. Jörgen, Political polarization, *Proc Natl Acad Sci U S A.* 2007 May 1; 104(18): 7351–7356. Published online, 2007 Apr 23. doi: 10.1073/pnas.0702071104, CID: PMC1863477

Edison Research polls: incumbent Tbilisi Mayor Kaladze, ex-PM Gakharia equally liked by voters, *Agenda.ge*, 10 Sep 2021, Georgia, <https://agenda.ge/en/news/2021/2602> (last seen on Oct. 7, 2021).

Freedom House, *Freedom in the World, Country report – Georgia, 2020*, <https://freedom-house.org/country/georgia/freedom-world/2020> (last seen on Sept. 26, 2021).

Gerbner, George, Larry Gross, Michael Morgan, and Nancy Signorielli (1980). “The ‘Mainstreaming’ of America: Violence Profile No. 11.” *Journal of Communication* 30(3): 10-29.

Gersamia M., Freedman E., *Challenges to Creating Vibrant Media Education in Young Democracies: Accreditation for Media Schools in Georgia*, *Journalism & Mass Communication Educator*, SAGE, 2017, Vol. 72(3) 322–333, *AEJMC* 2017, DOI: 10.1177/1077695817710104 <http://journals.sagepub.com/home/jmc>

Güneş Ertan, Ali Çarkoğlu, S. Erdem Aytaç, *Cognitive political networks: A structural approach to measure political polarization in multiparty systems*, *Social Networks*, Volume 68, 2022, Pages 118-126, ISSN 0378-8733, <https://doi.org/10.1016/j.socnet.2021.05.004>.

(<https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0378873321000460>)

Hasan Mubashar, Wadud Mushfique, Re-Conceptualizing Safety of Journalists in Bangladesh, *Media and Communication* (ISSN: 2183–2439) 2020, Volume 8, Issue 1, Pages 27–36 DOI: 10.17645/mac.v8i1.2494

Howells, R. (2001). Media, education and democracy. *European Review*, 9(2), 159-168

Intensified Attacks, New Defences – Developments in the Fight to Protect Journalists and End Impunity, In-Focus edition of the World Trends in Freedom of Expression and Media Development, United Nations, UNESCO. 2019, available from <https://unesdoc.unesco.org/> <https://bit.ly/3912qIQ> (last seen on Oct. 3, 2021).

Iyengar, Shanto, Hahn, Kyu S., 2009. Red media, blue media: evidence of ideological selectivity in media use. *J. Commun.* 59, 19–39.

Jaspersen A., Gollins J., Walls D., Polarization in the 2012 presidential debates, *Political Communications in Real Time*, 2017, Routledge, p. 196-225.

Journalist safety and self-censorship, edited by Anna Grøndahl Larsen, Ingrid Fadnes, et al, Routledge, 2020, p. 1-7

Kis D., Censorship/self censorship, *INDEX ON CENSORSHIP* 1/86, available at <https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1080/03064228608534021> (last seen Oct 20, 2021)

Lauka, A., McCoy, J., Firat, R.B., 2018. Mass partisan polarization: measuring a relational concept. *Am. Behav. Sci.* 62 (1), 107–126.

Levitsky S, Ziblatt D: *How Democracies Die*. Crown; 2018

Masur Philipp K., *Situational Privacy and Self-Disclosure, Communication Processes in Online Environments*, Springer, Germany, 2019, ISBN 978-3-319-78883-8, ISBN 978-3-319-78884-5 (eBook), <https://doi.org/10.1007/978-3-319-78884-5>

McQuail D., *Mass Communication Theory*, 2010, SAGE.

Melki M., Pickering A., Ideological polarization and the media, *Economics Letters*, Vol-

ume 125, Issue 1, 2014, Pages 36-39, ISSN 0165-1765, <https://doi.org/10.1016/j.econlet.2014.08.008> (<https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0165176514002985>)

Neal, Z.P., 2020. A sign of the times? Weak and strong polarization in the US Congress, 1973–2016. *Soc. Netw.* 60, 103–112.

Orgeret Kristin Skare, Tayeebwa William, Editorial, Introduction: Rethinking Safety of Journalists, Media and Communication (ISSN: 2183–2439) 2020, Volume 8, Issue 1, Pages 1–4 DOI: 10.17645/mac.v8i1.2873, <https://www.cogitatiopress.com/mediaandcommunication/article/view/2873/2873> (last seen on Oct. 7, 2021).

Reporters Without Borders, country report, 2021, <https://rsf.org/en/georgia?nl=ok> (last seen on Sept. 26, 2021).

Safe. Strong. Viable. The symbiosis between media safety and media viability, Deutsche Welle Akademie, Germany, 2021. <https://www.dw.com/en/safe-strong-viable-the-symbiosis-between-media-viability-and-media-safety/a-57334604> (last seen on Oct. 3, 2021).

Safety of journalists and the danger of impunity, United Nations, Director-General’s report, CI-20/COUNCIL.32/4 (7 October, 2020), p.13 available from UNESDOC: <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000374700?posInSet=2&queryId=59f40786-004d-4e02-b22a-3c5f3fef2291> (last seen on Oct. 3, 2021).

Safety of Journalists and the Danger of Impunity, UNESCO, Director-General Report, 2020, available from <https://en.unesco.org/themes/safety-journalists/dgreport>, (last seen on Oct. 2, 2021).

Safety of Journalists Covering Protests, Preserving Freedom of the Press During Times of Turmoil, Issue brief in the UNESCO series: World Trends in Freedom of Expression and Media Development, 2020 available from <https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000374206> (last seen on Sept. 30, 2021)

Slater, Michael D., 2007. Reinforcing spirals: the mutual influence of media selectivity and media effects and their impact on individual behavior and social identity. *Commun. Theory* 17 (3), 281–303.

Towards a Research agenda on the safety of journalists, United Nations, UNESCO, 2015,

available from https://en.unesco.org/sites/default/files/draft_research_agenda_safety_of_journalists_06_2015.pdf (last seen on Sept. 26, 2021).

United Nations, Resolution adopted by the General Assembly, resolution 74/157, The safety of journalists and the issue of impunity, A/RES/74/157 (18 December 2019), available from <https://undocs.org/pdf?symbol=en/A/RES/74/157> (last seen on Oct. 5, 2021).

Vibrant information barometer 2021, IREX, available at <https://www.irex.org/sites/default/files/Vibrant%20Information%20Barometer%20Full%20version.pdf> (last seen Oct. 20)

Walulya Gerald, Nassanga Goretti L., Democracy at Stake: Self-Censorship as a Self-Defence Strategy for Journalists, Media and Communication (ISSN: 2183-2439) 2020, Volume 8, Issue 1, Pages 1-4 DOI: 10.17645/mac.v8i1.2873.

Wilson A., Parker V., Feinberg M., Polarization in the contemporary political and media landscape, Current Opinion in Behavioral Sciences, Volume 34, 2020, Pages 223-228, ISSN 2352-1546, <https://doi.org/10.1016/j.cobeha.2020.07.005>.

(<https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2352154620301078>)

Yesil Murat M., The Invisible Threat for the Future of Journalism: Self-Censorship and Conflicting Interests in an Increasingly Competitive Media Environment, International Journal of Business and Social Science Vol. 5 No. 3; March 2014, available at https://ijbssnet.com/journals/Vol_5_No_3_March_2014/9.pdf (last seen oct 20, 2021)

გელაშვილი თ., ქართული მედია და მედიაგენური ულტრამემარჯვენეები, პოლიტიკის დოკუმენტი ო. 14, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, იენისი 2020.

კაკაჩია კ., პატარია თ., სოციალური ქსელების როლი ქართულ პარტიულ პოლიტიკაში, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2013.

კეჭაყმაძე ი., იშხნელი ნ., „5 ივლისის საქართველო: 5 კითხვა 5 ივლისის შესახებ“, შპს „სონარ მარკეტ მეტრიქსის“ კვლევა, ივლისი, 2021.

მედია - ძალადობისა და ტოტალური უკანონო მოსმენების სამიზნე: წინასწარჩვენო მედიაგარემოს შეფასება, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 29 სექტემბერი, 2021, <https://transparency.ge/ge/post/media-zaladobi->

sa-da-totaluri-ukanono-mosmenebis-samizne-cinasaarchevno-mediagaremos-shepaseba (ბოლო ნახვა, 3 ოქტომბერი, 2021)

მედიის პროგრამი, 5-6 ივლისი, თბილისი, 2021, კოალიცია მედიის ადვოკატებისთვის, https://osgf.ge/wp-content/uploads/2021/09/5_6_IVLISI_DOCU_GEO_19_09.pdf (ბოლო ნახვა 15 ოქტომბერი, 2021)

რობაქიძე ნ., პოლიტიკური პოლარიზაცია და მედია – რა საფრთხის წინაშე დგას დემოკრატიული პროცესი საქართველოში? საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2019. ხელმისაწვდომია: www.gip.ge (ბოლო ნახვა 25 ოქტომბერი, 2021)

სილაგაძე გ., გოზალიშვილი ნ., უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია, როგორც დემოკრატიზაციის პროცესის წინაშე არსებული საფრთხე, 2019. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3pMbafe> (ბოლო ნახვა 26 ოქტომბერი, 2021)

ქუტიძე დ., საქართველოს ხელისუფლების აგრესიული, პროპაგანდისტული რიტორიკა მედიის მიმართ - ავტორიტარების მიერ გამოცდილი ხერხი ჟურნალისტების დისკრედიტაციისთვის, ნომონ ჭისე, 2021, <https://gnomonwise.ug.edu.ge/public/storage/publications/September2021/7ptzlwREEELIQXV2Yfb.pdf>, (ბოლო ნახვა 3 ოქტომბერი, 2021)

დანართები

1) ონლაინ-გამოკითხვაში მონაწილე მედიასაშუალებები

სახოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხი, ტელეკომპანია „ფორმულა“, ტელეკომპანია „მთავარი არხი“, ტელეკომპანია „ტე პირველი“, ტელეკომპანია „იმედი“, ტელეკომპანია „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „პალიტრა ტვ“, ტელეკომპანია „მაესტრო“, ტელეკომპანია „კავკასია“, ტელეკომპანია "მეგა ტვ", ტელეკომპანია „Tok TV“, რადიო „კომერსანტი“, რადიო თავისუფლება“, რადიო „იმედი“, გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება "აი, ფაქტი", საგამომძიებო ჟურნალისტების სტუდია „მონიტორი“, საინფორმაციო სააგენტო www.pia.ge, საინფორმაციო სააგენტო www.DailyInfo.ge, საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსი", საინფორმაციო პორტალი "აიპრესი", მედიასპლდინგი "კვირა“, Business media Georgia (BMG), ჟურნალი და ონლაინ პლატფორმა Forbes Georgia, გაზეთი „ჯორჯიან ტაიმსი“, გაზეთი "ახალი თაობა", გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“, ჟურნალი „ინდიგო“, მედიასპლდინგი „ქრონიკა+", ონლაინგამოცემა „ნეტგაზეთი“, ონლაინგამოცემა „პუბლიკა“ - www.publica.ge, ონლაინგამოცემა „ტაბულა“ - www.tabula.ge, ონლაინმედია www.report.ge, ონლაინმედია www.Civil.ge, ონლაინმედია www.On.ge, ონლაინმედია www.primetime.ge, ონლაინმედია „ნიუპრესი“, ონლაინმედია www.accentnews.ge, ონლაინმედია JAMnews - www.jam-news.net/ge/, რეგიონული მედიასაშუალებები: სახოგადოებრივი მაუწყებელი - აჭარის ტელევიზია, გორის სათემო რადიო „მოზაიკა“, საინფორმაციო სააგენტო www.cnews.ge, გაზეთი „გურიის მოამბე“ და ვებ-გვერდი „გურია ნიუსი“, www.gurianews.com, საინფორმაციო სააგენტო "ინფო რუსთავი", ახალციხის ტელეკომპანია მეცხრე არხი – www.tv9news.ge, მედია სახლი "სამხრეთის კარიბჭე", ტელეკომპანია "ბორჯომი", ონლაინმედია www.chemikharagauli.com და გაზეთი „ჩემი ხარაგაული“, საინფორმაციო სააგენტო „ქუთაისი.პოსტი“, ხონის ლიტერატურული გაზეთი „ათინათი“, ონლაინ მედია www.FirstNews.ge, ხონის გაზეთი „თაობა“, ტელეკომპანია TV25, გაზეთი "აჭარა", ონლაინგამოცემა და გაზეთი „ბათუმელები“, ტელერადიო კომპანია „ოდიში“.

2) ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებში ჩართული მედიასაშუალებები

ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებში ჩართულნი იყვნენ ჟურნალისტები, პროდიუსერები, ტოქ-შოუს წამყვანები, გადაცემის ავტორები, მედიის დამფუძნებლები, რედაქტორები შემდეგი მედიასაშუალებებიდან:

1. ტელეკომპანია „ტვ პირველი“;
2. ონლაინ გამოცემა „Publika.ge.“;
3. ონლაინ-გამოცემა „ტაბულა“;
4. ტელეკომპანია „რუსთავი 2“;
5. ტელეკომპანია „მაესტრო“;
6. ტელეკომპანია „მთავარი“;
7. რუსთავის ტელეკომპანია „ტვ 4“;
8. საზოგადოებრივი მაუწყებელი - პირველი არხი;
9. ტელეკომპანია „ფორმულა“;
10. ონლაინგამოცემა „ჩემი იმერეთი“;
11. ტელეკომპანია „ბორჯომი“;
12. გორის რადიო „მოზაიკა“;
13. „რადიო თავისუფლება“
14. რეგიონული მედია კონფიდენციალობის დაცვით.

ავტორების შესახებ

მარიამ გერსამია არის ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის (MCERC) დამფუძნებელი და თავმჯდომარე. მარიამი არის მედიაფსიქოლოგი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. სადოქტორო ხარისხი მოიპოვა 2004 წელს ჟურნალისტიკის განხრით. 2015-2017 წლებში მიიღო პოსტ-დოქტორული განათლება სხეულზე ორიენტირებულ ფსიქოთერაპიაში. აკადემიურ სფეროში 21-წლიანი საქმიანობისას, იყო ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტის და პროგრამების ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს ორგზის არჩეული წევრი (2010-2015), არის არაერთი ნაშრომის და მონოგრაფიის ავტორი. მარიამი სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მუშაობდა განათლების და მეცნიერების სამინისტროში საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსად და მინისტრის მრჩეველად (2006-2009), აღმასრულებელ დირექტორად შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (2009-2014). ამჟამად მარიამი ხელმძღვანელობს ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას „მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები“ თსუ-ში. არის სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციის და სარედაქციო საბჭოს წევრი. არის ქალაქ ლუივილის (აშშ) საპატიო მოქალაქე.

მაია ტორაძე არის ა(ა)იპ მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის (MCERC) გამგეობის წევრი და უფროსი მეკლევარი. მაია არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი. მას აქვს სხვადასხვა მედიაგამოცემაში მუშაობის 30-წლიანი პრაქტიკა, მათ შორის ბეჰდური გამოცემებში („შანსი“, „კავკასიონი“, „აქცენტი“) კორესპონდენტად და რედაქტორად; ამჟამად არის თსუ-ის პუბლიცისტიკისა და ელექტრონული მედიაცენტრის თანამშრომელი.

მაია ტორაძემ პედაგოგიური საქმიანობა დაიწყო 2005 წელს. სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა 2006 წელს ჟურნალისტიკის განხრით და ამჟამად არის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი. იგი არის სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი, ასევე, 13 პუბლიცისტიკური კრებულის თანაავტორი და ხუთი წიგნის რედაქტორი. მაია ტორაძე ჩართულია სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია როგორც ქართულ, ასევე უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში.

ცენტრის შესახებ

ა.(ა.)ი.პ. მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი დაარსდა 2015 წელს. ცენტრის მიზანია მედიის და მასკომუნიკაციის სფეროს განვითარება, საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობის და ახალი ცოდნის შექმნის გზით მედიაწიგნიერების ამაღლების და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების ხელშეწყობა, ასევე, ინტერდისციპლინური ცოდნის ტრანსფერი და მედიის და მასკომუნიკაციის, მედიაფსიქოლოგიის, საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში კონსულტირება. სხვადასხვა პროექტის განხორციელებისას ცენტრი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მედიორგანიზაციებთან.

ცენტრის მისიაა მედიის განვითარებისა და გაძლიერებისთვის ჟურნალიტიკების განათლების მხარდაჭერა, ხოლო მისი ხედვაა პროფესიონალური მედიის მხარდაჭერა დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის.

ცენტრის ვებ-გვერდი: www.mcerc.ge

ცენტრის ელ-ფოსტა: info@mcerc.ge

